

თბილისის

ვანო

სარაჯიშვილის

სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორიის

ტრადიციული

მრავალხმიანობის

კვლევის

საერთაშორისო

ცენტრის

ბიულეტენი

თბილისი, ივნისი, 2018

№24

*ახალი ამბები*

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

*ქართული სიმღერის მოამაგეები*

მარო თარხნიშვილი

*ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები*  
სიეტლის ქართული გუნდი „უანფორფაივ“

*ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი*  
„შილდა“

*უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ*  
ჯონ ვურდემანი

„ჩემი ცხოვრება ქართულ მრავალხმიანობასთან ერთად“

*ტრადიციული საოჯახო ანსამბლი*  
მიქაბერიძეების მომღერალი ოჯახი

მერი-სოფია ლაკოპულოსი  
ზიორნ ისფალტის მუსიკა ფილმისათვის „ყაჩაღის ასული რონია“ და მისი მსგავსება ქართულ მრავალხმიანობასთან

*უცხოური პოლიფონია*

ტრადიციული მრავალხმიანობა პრემანაში

*ძველი პრესის ფურცლებზე*  
რომან ძამსაშვილი-ცამციევი  
„რამდენიმე სიტყვა გალობა-სიმღერაზედ“

*ერთი საკრავის შესახებ*  
სვანური ჩანგი

*ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ*  
„დალაობა“

სიმღერა „დალა“

## ახალი ამბები

### საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(იანვარი-ივნისი, 2018)

#### *ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები, სემინარები*

**12.04-17.05.2018** – ჩატარდა ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლება-მდე“, რომელმაც წელს, თბილისის გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებშიც (თელავი, ქუთაისი, ბათუმი) მოიცვა. ფესტივალი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაბადებიდან 85 წლისთავს მიეძღვნა.

**15.04-30.09** – Check in Georgia-ს ფარგლებში მიმდინარეობს ფოლკლორული ფესტივალი „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ 6 თბილისური ფოლკლორული ანსამბლის („ანჩისხატი“, „ადილეი“, „დიდგორი“, „შავნაბადა“, „ნანიანა“, „იალონი“) მონაწილეობით, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თითოეული ანსამბლის მიერ 5-5 კონცერტის გამართვას.

**20.04-1.06.2018** – საქართველოს საგუნდო საზოგადოებამ ჩაატარა „ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების IV ეროვნული კონკურსი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მომდერალთა და მგალობელთა გუნდებმა მთელი საქართველოს მასშტაბით.

**26-29.04.2018** – თურქეთის ქალაქ სტამბოლში გასაერთაშორისო ფესტივალი Pera Festival, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კირიალესა“. ფესტივალის ფარგლებში ანსამბლმა სოლო კონცერტიც გამართა.

**1-9.05.2018** – ანსამბლი „დიდგორი“ მიწვეული იყო „ქართული კინოს ლონდონის მეხუთე საერთაშორისო ფესტივალის“ გახსნისა და დახურვის ცერემონიაში, ასევე, ფესტივალის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

**12.05.2018** – ანსამბლმა „დიდგორმა“ მონაწილეობა მიიღო ღვინის კლუბში გამართულ „ახალი ღვინის ფესტივალი 2018“-ში.

**19.05.2018** – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა აქცია „ღამე მუზეუმში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა „მჭელი“, „აკრიანი“ და ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა სტუდიამ „ამერ-იმერი“.

**22.05.2018** – გალობის უნივერსიტეტში შედგა პროფესორ მანანა ანდრიაძისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანული თეოლოგიისა და მუსიკოლოგიის საკითხები“.

**28.05.2018** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებამ ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა რესპუბლიკური კონფერენცია და ფოლკლორული მუსიკის კონცერტი ჩაატარა, რომელიც ედიშერ გარაყანიძის ხსოვნას მიუძღვნა.

**7.06.2018** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულებამ წმ. ექვთიმე აღმსარებლის სახელობის სემინარი ჩაატარა.

**15-23.06.2018** – ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულმა ცენტრმა მოაწყო ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალი „მრავალჟამიერ“.

#### *ექსპედიციები*

**11-15.05.2018** – ა(ა)იპ ფონდ „ჰეიამოს“ თანადადამფუძნებელმა და დირექტორმა გიორგი კრავიშვილმა ჩაატარა ექსპედიცია სოფელ სარფში.

#### *ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.*

**14.01.2018** – დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) კურთხევით, ქალაქ ფლორენციაში, თეატრში „აურორა“ საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფლორენციის წმინდა ნინოს სამრევლოსთან არსებულმა ქართველ ემიგრანტთა ანსამბლმა „ნანილამ“ გალობის უნივერსიტეტის სტუდენტის, ზაზა ზურიაშვილის ხელმძღვანელობით.

**2.02.2018** – აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურ-

რის სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში დისკის „15 აფხაზური სიმღერა“ (ანსამბლ „რუსთავის“ რეპერტუარიდან) და ამ სიმღერების სანოტო კრებულის პრეზენტაცია გაიმართა.

**13.02.2018** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში მოეწყო ანსამბლ „კირიალესას“ მეორე აუდიოალბომის პრეზენტაცია.

**9.03.2018** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის ფოლკლორულ ანსამბლ „მოყვარეს“ პირველი აუდიოალბომის პრეზენტაცია.

**ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა:**

**20.03.2018** – ნიკოლოზ ჯოხაძის საჯარო ლექცია თემაზე: „გარმონის გზა საქართველოსკენ“.

**19.04.2018** – მაია სიგუას საჯარო ლექცია თემაზე: „ოპერა – ოთხი საუკუნე ერთ საათში“.

**24.05.2018** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ნინო კალანდაძის საჯარო ლექცია თემაზე: „ქართულ ტრადიციულ საკრავთა ერთი ჯგუფის შესწავლისათვის“.

**15.03.2018** – გალობის უნივერსიტეტში გაიმართა ისტორიკოსისა და ეთნომუსიკოლოგის, ნიკოლოზ ჯოხაძის საჯარო ლექცია თემაზე „ქართული გარმონი“ და დაინერგა ამ საკრავის შემსწავლელი პრაქტიკული კურსი სასწავლებლის სტუდენტებისთვის.

**20.03.2018** – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში შედგა ანსამბლ „მთიების“ ლექცია-შეხვედრა უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

**3.04.2018** – გალობის უნივერსიტეტსა და სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის #54 საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებში მოსწავლეთა ფოლკლორული გუნდი დაფუძნდა.

**4-13.04.2018** – ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიაში“ ქართველ ემიგრანტთათვის გაიმართა ქართულ ხალხური სიმღე-

რისა და გალობის მასტერ-კლასები, რომელთაც გალობის უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ჯოლობორდი უძღვებოდა.

**26.04.2018** – გალობის უნივერსიტეტში ჩატარდა თესლონიკის უნივერსიტეტის პროფესორის, ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის სპეციალისტის, ემანუელ ჯიანოპულოსის ლექცია და მასტერ-კლასი თემაზე: „ბიზანტიური საეკლესიო მუსიკა“.

**17.05.2018** – „ათონის წმიდა მთის სახელობის სახალხო დარბაზში“ გაიმართა ანსამბლ „იალონის“ მეოთხე აუდიოალბომის პრეზენტაცია.

**26.05-8.06.2018** – საქველმოქმედო ფონდმა „ქართული გალობა“ გაცვლითი პროგრამა განახორციელა, რომლის ფარგლებში აშშ-ის ნოტრ დამის უნივერსიტეტის საეკლესიო მუსიკოლოგიის დეპარტამენტის 4 სტუდენტმა ელის მარტინის სახელობის სტიპენდიით გალობის უნივერსიტეტში ქართული გალობა-სიმღერა შეისწავლა.

**28.05.2018** – გალობის უნივერსიტეტში ცნობილი გურული მომღერლის, ტრისტან სიხარულიძის მასტერკლასი ჩატარდა.

**29.05.2018** – თბილისის თიბისი არტ გალერეაში გაიმართა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჯგუფის, „ძირიანის“ პირველი აუდიოალბომის პრეზენტაცია.

**29.05.2018** – გალობის უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოში მოღვაწე ამერიკელი ეთნომუსიკოლოგის, ჯონ გრემის საჯარო ლექცია თემაზე „ქართული გალობის გადაცემის ისტორია“.

**3.06.2018** – ქალაქ ამბროლაურის კულტურის ცენტრში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ფონდი „ქართული გალობის“ მხარდაჭერით, გაიმართა ადგილობრივ ანსამბლ „საგალობლის“ 45 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და წიგნის „როსტომ გოგოლაძე“ წარდგენა.

**9.06.2018** – გალობის უნივერსიტეტის სტუდენტური დასაქმების პროექტების ფარგლებში ხმის ჩამწერი სტუდია „ქართული გალობა“ ცაგერში ანსამბლ „სალალობის“ ესტუმრა და სტუდენტური აუდიოალბომისთვის სამი სასიმღერო ნიმუში ჩაიწერა.

**25.06.2018** – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში შუახევის ფოლკლორის ამსახველი წიგ-

ნის „ექსპედიციები აჭარაში. შუახევი 2016“ პრეზენტაცია გაიმართა.

**30.06.2018** – თბილისის ფოლკ-გარდენში გაიმართა ანსამბლ „ადილეისა“ და პრემანელი მომღერლების ერთობლივი საკონცერტო ჩანაწერის აუდიო და DVD ალბომის „სიმღერით დაძრული მთები“ პრეზენტაცია.

#### **გასტროლები**

**21.01.2018** – საქართველოს სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ სოლო კონცერტი გაიმართა სანკტ-პეტერბურგის დიდ საკონცერტო დარბაზში.

**1-4.02.2018** – საქართველოს სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ სამი სოლო კონცერტი ჩაატარა საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში გამართული სასულიერო მუსიკის ფესტივალის „Sacrees Journees de Strasbourg“ ფარგლებში.

**3.02.2018** – საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ სტამბოლში, ბოსტანჯის სამემსრულებლო ხელოვნების ცენტრის (Bostancı Gösteri Merkezi) სცენაზე დაარსებიდან 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონცერტი გაიმართა.

**1.04.2018** – ჰამბურგის ელზფილარმონიის დარბაზში „ანჩისხატის გუნდმა“ გაიმართა სოლო კონცერტი სახელწოდებით „სიმღერას ვზედავ!“

**5-11.04.2018** – ანსამბლმა „იალონმა“ იმოგზაურა დიდ ბრიტანეთში და ჩაატარა კონცერტები და მასტერკლასები ქალაქებში ლონდონსა და კემბრიჯში.

**21-22.04.2018** – ანსამბლმა „შავნაბადამ“ თურქეთში იმოგზაურა, სადაც ჩაატარა სოლო კონცერტი ქალაქ სტამბოლის ანგლიკანურ ეკლესიაში და ხალხური სიმღერის მასტერკლასი ქართველი ემიგრანტებისა და ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებისთვის.

**10-14.05.2018** – ანსამბლი „ერთობა“ საგასტროლოდ იმყოფებოდა პოლონეთში, სადაც გაიმართა ორი სოლო კონცერტი და მონაწილეობა მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ღონისძიებაში.

**13.05.2018** – პარიზში, ASIEM-ის დარბაზში ასოციაცია „თამარიონის“ ორგანიზებით ქართული მუსიკის საღამო გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გალობის უნივერსიტეტის ანსამბლის ერთმა ჯგუფმა.

**17-21.05.2018** – სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“ მიწვეული იყო ჩინეთში, სადაც მონაწილეობა მიიღო „მსოფლიო მუსიკის გამოფენის“ ფარგლებში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ სიმპოზიუმში „სარტყელი და გზა“, რომელიც შენი-ანგის მუსიკის კონსერვატორიაში ჩატარდა.

**16-21.06.2018** – ლატვიის რესპუბლიკაში, „რიგის საერთაშორისო ფესტივალზე“ მიწვეული იყო სიღნაღის ქართულ-ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი „ზედამე“.

#### **კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები...**

**6.01.2018** – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მჭელმა“ საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძელში „ალილოზის“ რიტუალი ჩაატარა.

**21.01.2018** – პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა საქველმოქმედო ფოლკლორული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა: „მთიები“, „ანჩისხატი“, „ადილეი“, „დიდგორი“, „სათანაო“, „იალონი“, „მჭელი“.

**23.01.2018** – ბოდბის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე ანსამბლმა „შავნაბადამ“ სოლო კონცერტი გაიმართა თბილისის პოლიტიკური სკოლის კურსდამთავრებულთათვის.

**10.02.2018** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ცნობილი გურული მომღერლის, ტრისტან სიხარულიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და კონცერტი.

**24.02.2018** – ღვინის რესტორანში „პოლიფონია“ მეგრული ღვინის საღამო გაიმართა, რომელშიც ქართული ტრადიციული მუსიკა წარმოადგინა ანსამბლმა „დიდგორმა“.

**9.03.2018** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლეგენდარული ლოტბარის, ძუკუ ლოლუას სახელობის აფხაზური ფოლკლორის შემსწავლელი კაბინეტი გაიხსნა.

**4.04.2018** – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მჭელმა“ სოფლებში ნატახტარსა და მისაქციელში ჭონას რიტუალი ჩაატარა.

**15.04.2018** – ზესტაფონის კულტურის სახლში გაიმართა ანსამბლ „დიდგორის“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ზესტაფონის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდმაც.

**22.04.2018** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ანსამბლ „დიდგორის“ სოლო კონცერტი.

**21.04.2018** – კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაიმართა ანსამბლ „ნანინას“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კასპის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდმაც.

**22.04.2018** – ყვარლის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრში გაიმართა ანსამბლ „ანჩისხატის“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ყვარლის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდმაც.

**27.04.2018** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში გაიმართა თელავის, ონისა და ფოთის სალოტბარო სკოლების მოსწავლეთა კონცერტი.

**27.04.2018** – კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა „ანჩისხატის გუნდის“ სოლო საიუბილეო კონცერტი, რომელიც ანსამბლის დაარსებიდან 30 წლისთავს მიეძღვნა.

**29.04.2018** – ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრში გაიმართა ანსამბლ „იალონის“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბორჯომის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა გუნდმაც.

**29.04.2018** – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში მგალობელმომღერალთა გუნდ „სათანაოსა“ და ჰოლანდიურ ანსამბლ „ენჯელსის“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

**29.04.2018** – ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში საქართველოს დამსახურებული არტისტის, ტარიელ ონაშვილის 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი და აუდიოალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

**4.05.2018** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ლენტეხის, ზე-

სტაფონისა და გორის სალოტბარო სკოლების მოსწავლეთა კონცერტი.

**5.05.2018** – მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრ „სვეტში“ გაიმართა ანსამბლ „ადილეის“ სოლო კონცერტი.

**6.05.2018** – ანსამბლმა „დიდგორმა“ მონაწილეობა მიიღო ლონდონის მართლმადიდებლურ ქართულ ტაძარში გამართულ გიორგობის საზეიმო წირვაში ადგილობრივ მგალობელთა გუნდთან ერთად.

**7.05.2018** – თბილისის „სამეფო უბნის თეატრში“ ანსამბლმა „გორდამ“ სოლო კონცერტი ჩაატარა.

**8.05.2018** – რუსთაველის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ეთნომუსიკის თეატრ „მთიების“ სოლო კონცერტი – ფოლკლორული წარმოდგენა „ხატობა“.

**11.05.2018** – ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაიმართა ანსამბლ „იალონის“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბოლნისის გოგონათა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ალილომ“.

**15-18.05.2018** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეზოში, საზაფხულო სცენაზე, გაიმართა ამბროლაურის, კასპის, ყვარლის, ახალქალაქის, ბათუმის, დუშეთის, წალენჯიხის, ბორჯომის, მესტიისა და საჩხერის სალოტბარო სკოლების მოსწავლეთა კონცერტი.

**18.05.2018** – საჩხერის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა ანსამბლ „ნანინას“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საჩხერის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდმაც.

**20.05.2018** – დუშეთის მუნიციპალიტეტის ილია ზაქაიძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა ანსამბლ „ანჩისხატის“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დუშეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდმაც.

*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავთან დაკავშირებით არაერთი ღონისძიება გაიმართა:*

**26.05.2018** – საიუბილეო კონცერტი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“;

**24.05.2018** – ქალაქ ბრატისლავაში, მერიის სასახლეში საქართველოს საელჩომ სლოვაკეთის რესპუბლიკაში გამართა საზეიმო ღონისძიება, რომლის ფარგლებში საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალთა გუნდმა კონცერტი ჩაატარა.

**26.05.2018** – ტრადიციული მუსიკის კონცერტი სოფელ ნიქოზში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გალობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ფონდ „ქართული გალობის“ სოფელ ნიქოზისა და კალაურის წარმომადგენლობების ბავშვთა გუნდებმა;

**26.05.2018** – საიუბილეო კონცერტი თბილისში, რუსთაველის გამზირზე, რომელშიც თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმაც მიიღეს მონაწილეობა;

**26.05.2018** – ანსამბლ „ერთობის“ კონცერტი ქალაქ ბოლნისში ადგილობრივ ანსამბლ „ორბელთან“ ერთად;

**31.05.2018** – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში ანსამბლმა „სახიობამ“ სოლო კონცერტი გამართა.

**1.06.2018** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების IV ეროვნული კონკურსის“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი და გალა კონცერტი გაიმართა.

**2.06.2018** – ქალაქ ფოთში, არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებელში გაიმართა ანსამბლ „დიდგორის“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფოთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდმაც.

**4.06.2018** – საფრანგეთში, UNESCO-ს სათაო ოფისში ქართველი პიანისტის, UNESCO-ს მშვიდობის ელჩის, ელისო ბოლქვაძისა და საქართველოს სახელმწიფო ანსამბლ „ბასიანის“ ერთობლივი კონცერტი.

**7.06.2018** – რუსთაველის სახელმწიფო თეატრში ანსამბლ „დარიალის“ 30 წლის საიუბილეო ღონისძიება გაიმართა. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წინ ანსამბლის დამაარსებლის, საქართველოს სახალხო არტისტის, ცნობილი ლოტბარისა და მომღერლის, თემურ ქვეციშვილის ვარსკვლავი გაიხსნა.

**9.06.2018** – საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირმა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს სახალხო არტისტის, ლეგენდარული „სუბიშვილების“ პირველი თაობის სოლისტის, თენგიზ უთმელიძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი და სახელობითი ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი გამართა.

**9.06.2018** – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნ. შენგელაიას სახელობის კინოთეატრში გაიმართა ანსამბლ „შავნაბადას“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო წალენჯიხის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდმაც.

**13.06.2018** – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში თბილისის მე-200 საჯარო სკოლა-პანსიონის აღსაზრდელთა ფოლკლორული კონცერტი გაიმართა.

**16.06.2018** – მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში გაიმართა ანსამბლ „ადილეის“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მესტიის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდმაც.

**17.06.2018** – არტარეაზე გაიმართა „ანჩისხატის გუნდის“ სოლო კონცერტი.

**17.06.2018** – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „ერთობისა“ და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია „მომავლის ხმების“ ერთობლივი კონცერტი ჩატარდა.

**18.06.2018** – სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა ანსამბლ „ნანინას“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამტრედიის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდმაც.

**19.06.2017** – ქ. ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნანინას“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა გუნდმა „ნაი-ნაი-იმ“.

**22.06.2018** – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლების დათვალეიერების ფარგლებში ცენტრის წარმომადგენლები ოზურგეთს

ეწვივნენ, სადაც გაიმართა ოზურგეთის სალოტ-ბარო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი.

**24.06.2018** – ბაღდათის მუნიციპალიტეტის რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა ანსამბლ „ანჩისხატის“ სოლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბაღდათის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდმაც.

**28.06.2018** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრში გაიმართა ანსამბლ „ძველი მთების“ სოლო კონცერტი.

*ლურჯ მონასტერთან არსებულმა, ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა სტუდია „ამერიმერმა“ პროექტის „ამღერებელი ამერიმერის“ ფარგლებში ფოლკლორულ-მითოლოგიური სპექტაკლი „ჭეჭეთობა ღამე“ წარმოადგინა, როგორც თბილისის არაერთ საჯარო სკოლაში, ისე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში:*

**15.02.2018** – თბილისის მეექვსე საავტორო სკოლაში;

**27.02.2018** – ქალაქ რუსთავში;

**16.03.2018** – ქალაქ ბოლნისში;

**22.03.2018** – ქალაქ დედოფლისწყაროში;

**23.05.2018** – ქალაქ კასპში;

**14.06.2018** – თბილისის #144 საჯარო სკოლაში.

**გამოცემები**

ანსამბლ „იალონის“ IV აუდიოალბომი „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“




ანსამბლ „კირიალესას“ II აუდიოალბომი




ანსამბლ „ძირიანის“ I აუდიოალბომი



ადილესა და პრემანელების CD-DVD ალბომი „სიმღერით დაძრული მთები“



ანსამბლ „მოყვარეს“ I აუდიოალბომი



კრებული „15 აფხაზური ხალხური სიმღერა“




ტარიელ ონაშვილის აუდიოალბომი



შუახვევის 2016 წლის ექსპედიციის  
ამსახველი წიგნი



წალენჯიხის ფოლკლორულ ანსამბლ  
„ბედინერას“ I აუდიოალბომი



წალენჯიხის ქალთა ფოლკლორულ  
ანსამბლ „მაფმალას“ I აუდიოალბომი



ჩოხატაურის ფოლკლორულ ანსამბლ  
„გურიის“ I აუდიოალბომი



მომამზადა *მაკა ხარძიანმა*

*ქართული სიმღერის მოამაგეები*

### მარო თარხნიშვილი

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში ქალთა და მამაკაცთა რეპერტუარი გამიჯნულია, თუმცა, ტრადიციული შემსრულებლობა ამ ორი სქესის წარმომადგენელთა ერთობლივ სიმღერას არ ეწინააღმდეგება, როცა საქმე საოჯახო მუზიციერებას ან სახალხო დღესასწაულებს ეხება. რაც შეეხება ქალთა მიერ მამაკაცთა რეპერტუარის სიმღერების შესრულებას, ეს მოვლენა უშუალოდ სცენას უკავშირდება და ამის პირველი პრეცედენტი 1910 წელს გორის გუნდში მოხდა. პირველად ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობის ისტორიაში, ქალი გახდა ლოტბარი და შვიდკაციან გუნდში ქალებმა შეასრულეს წამყვანი ხმები. ესენი გახლდნენ დები, მარო და ეკატერინე (კატო) თარხნიშვილები.



მარო თარხნიშვილი

პირველი ლოტბარი ქალი, ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი, საქართველოს სახალხო არტისტი მარიამ (მარო) თარხნიშვილი კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში დაიბადა 1891 წელს ესტატე თარხან-მოურავისა და ნატალია მექანარიშვილის მრავალშვილიან ოჯახში, რომელიც განთქმული ყოფილა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭითა და ქართული სიმღერის სიყვარულით. მარო ოჯახის



მეცხრე, ნაბოლარა წვერი გახლდათ. თავადის ქალს ბავშვობიდანვე გამოუმჟღავნებია განსაკუთრებული მუსიკალური სმენა, ხმა და ინტერესი ნამდვილი გლეხური სიმღერებისადმი. სადაც სიმღერის ჰანგს გაიგონებდა, უმალ იქ ჩნდებოდა: ხვნისას, მკისას, თოხნისას, ლეწვისას გლეხების გვერდით იდგა, ხმას აყოლებდა, იმახსოვრებდა. შემდეგ შეკრებდა სოფლის გოგო-ბიჭებს და „მაროს ლხინს“ მართავდა. კავთისხევისა და ახლომახლო სოფლებში სიმღერა არ დარჩენილა, რომ არ ესწავლა. როგორც ამბობდნენ, მაროს „სიმღერის ჯადო“ ჰქონდა და ამით ყველას ატყვევებდა.

შესანიშნავი ხმით გამოირჩეოდა მაროს ერთ-ერთი უფროსი და – ეკატერინეც, რომლის სიმღერა მაროს დაბადებამდე ბევრად ადრე ყოფილა განთქმული. დების ხმები ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს.



**დები მარო და ეკატერინე თარხნიშვილები**

მარო ძალიან ადრე – 13 წლის ასაკში გათხოვდა და საცხოვრებლად ახალქალაქში გადავიდა. სწორედ აქ შექმნა პირველი გუნდი.

1910 წლიდან მაროს ოჯახი გორში გადასახლდა, სადაც ცხოვრობდა ეკატერინე ოჯახით და სწორედ აქ შედგა დების პირველი საჯარო გამოსვლა – სასცენო ნათლობა.

1917 წლიდან თარხნიშვილები თბილისში გადმოსახლდნენ, სადაც მარომ ახალი ფოლკლორული გუნდი ჩამოაყალიბა. 1919 წელს ქართულ კლუბში მისი პირველი კონცერტი გაიმართა. „მართლაც რომ საამო სანახავი და მოსასმენი იყო ეს მცირერიცხოვანი გუნდი... მსმენელს ხიბლავდა უადრესად მუსიკალური, ბუნებრივი და წმინდა ხალხურობით გამორჩეული ახმოვანება ჩვენი მშობლიური ფოლკლორის ძვირფასი ნიმუშებისა.

სიმღერების შესრულება იყო ძალდაუტანებელი, ტკბილი, საშუალო სიძლიერით, ყოველგვარი ხელოვნურობისა და გაუმართლებელი „ეფექტების გარეშე“ (პავლე ხუჭუა. *მარო თარხნიშვილი*, თბილისი, 1962).

მაროს ერთი მოწოდება ჰქონდა: რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შეეთვისებინა და შეესწავლა ქართული ხალხური სიმღერები, პირველადი, ბუნებრივი სახით. ამიტომაც შემოიარა ფეხით ქართლ-კახეთი, ხალხურ მარგალიტებს კრებდა და თავის შემოქმედებით ქურაში ატარებდა-ამუშავებდა. „ზამთარი“, „კახური ნანა“, „გრძელი კახური მრავალჟამიერი“ მელოდიური ჩუქურთმებით მაროს გამდიდრებულია. კიდევ უამრავი სიმღერა, ნოტზე დაუწერელი განძი გადაარჩინა „ქართული სიმღერის ტკბილმა დედამ“, როგორც მას სიცოცხლეშივე უწოდებდნენ.

სახელი, პატივისცემა, სიყვარული, აღიარება, დაფასება ადრიდანვე მოვიდა. უდიდეს პატივს სცემდნენ ქართული მუსიკის კორიფეები – დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე. ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობაში შვიდი წლის მარომ, ნიკო სულხანიშვილის სტუმრობისას, მისი ოპერის „პატარა კახის“ ერთ-ერთი ნომერი – „დაიგვიანეს“ თავად ავტორისგან მოისმინა, მოგვიანებით კი ამ არიის საკუთარი ვარიანტი შექმნა და თავის რეპერტუარში ჩართო. სხვათა შორის, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ეს ბრწყინვალე არია სულხანიშვილის ოპერის სხვა ფრაგმენტებთან ერთად არ დაიკარგა. აღსანიშნავია ისიც, რომ „დაიგვიანეს“ ოცი წლის მარო თარხნიშვილს აკაკი წერეთლის იუბილეზე შეუსრულებია და მგოსანი აუტირებია! 1915 წელს კი სწორედ ამ არიით გაუცილებია „საქართველოს ბულბული“ უკანასკნელ გზაზე.

დიმიტრი არაყიშვილს მარო კონსერვატორიაში მიუწვევია ქართული ხალხური სიმღერების მასწავლებლად. მისი შესანიშნავი კონტრალტოთი მოხიბლულს კი ვოკალში მეცადინეობაც შეუთავაზებია და იტალიაში გაგზავნასაც დაჰპირებია, მაგრამ სამი მცირეწლოვანი შვილის დედას უარი უთქვამს შეთავაზებაზე და დაბრუნებია ქართლ-კახური სიმღერების შეგროვებას, დამუშავებას და საზოგადოების წინაშე გამოტა-

ნას. როგორც თავად ამბობდა, ამით არაფერი წაუგია და ხალხური სიმღერების ჭირისუფალი გამოდგა საბოლოოდ.

გასტროლები და კონცერტები მაროს ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი გახდა: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავში, სიღნაღში, სენაკსა თუ ზუგდიდში მსმენელს ატყვევებდა მისი ხავერდოვანი ხმა. საქართველოში არ იყო ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, მარო თარხნიშვილს თავის სიმღერით რომ არ გაელამაზებინა.

1924 წელს მაროს მეუღლე დაუხვრიტეს, ვაჟი კი ძლივს გადაარჩინა სიკვდილს. ოცდაცამეტი წლის ასაკში დაქვრივებულ ქალს ნუგეშად შვილები და სიმღერა დარჩა. მომღერლად დაბადებულს არ შეეძლო დადუმება და 1925 წელს არნახული ფოლკლორული კონცერტი გამართა. ამას მოჰყვა კონცერტები თბილისის თეატრებში, სკოლებში, ბაღებში, კლუბებში, კომერციულ თუ საქველმოქმედო საღამოებზე. მარო თავდაუზოგავად მოღვაწეობდა და აყალიბებდა გუნდებს თბილისის ტრამვაის, წყალსადენის, რკინიგზის მუშებისაგან... მაგრამ მისი საზრუნავი მაინც ის პატარა გუნდი იყო, რომელიც შვიდი წევრიდან ოცდათხუთმეტკაციან ანსამბლად იქცა და წარმატებით გამოდიოდა ოლიმპიადებსა და ეთნოგრაფიულ კონცერტებზე.

1927 წლიდან „კავთისხეველმა იადონმა“ (იოსებ ნონეშვილი) კავკასიონს გადააბიჯა და კონცერტებით მოიარა საბჭოთა რესპუბლიკები: რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, აზერბაიჯანი, სოხეთი.

მიწვევები და გასტროლები არ წყდებოდა. პრესა და ტელევიზია სისტემატურად აშუქებდნენ მის შემოქმედებას. საზოგადოება და მთავრობა დიდ პატივს მიაგებდა, ვინაიდან დიდი იყო მისი დამსახურება ქართული სიმღერის პოპულარიზების საქმეში.

1933 წელს მოსკოვში გრამოფონის ფირფიტაზე ჩაწერეს მარო თარხნიშვილის მიერ შესრულებული სიმღერები.

1935 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მარო და ეკატერინე თარხნიშვილებს მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადეს და მაროს რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწის, ეკატერინეს კი –

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს.

1956 წელს რუსთაველის თეატრში მარო თარხნიშვილის დაბადებიდან 65 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავი აღინიშნა.



მარო და ეკატერინე თარხნიშვილების გუნდი

1949 წლამდე მარო თარხნიშვილი ქართლ-კახური სიმღერების სახელმწიფო ანსამბლს ხელმძღვანელობდა, შემდეგ, 1956 წლამდე, საქართველოს სარეწაო კავშირის კულტურის სახლთან არსებული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ლოტბარი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

ლოტბარობისა და მომღერლობის გარდა, მაროს დიდი წვლილი მიუძღვის მომღერლების დაოსტატებაში. თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას სწორი პედაგოგიური მიდგომითა და მეთოდებით გადასცემდა.

ექვსი ათეული წელი ემსახურა მარო თარხნიშვილი ქართულ ხელოვნებას და ჭეშმარიტად სახალხო მომღერლად იქცა. მის მიერ შესრულებული „დაიგვიანეს“, „ჭონა“, „ნამგლური“, „ბერიკაცი ვარ“, „კახური მრავალჟამიერი“, „თამარ ქალი“ და მრავალი სხვა დღესაც პოპულარობით სარგებლობს.

ღვაწლმოსილ მომღერალსა და ლოტბარს ნიჭიერი შთამომავლობა დარჩა. დედის კვალს გაჰყვნენ შვილები – ვანო და თამარი, მათ შეუერთდა რძალი – ბაბუღია თარხნიშვილი. თამარის ქალიშვილი ცნობილი კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილია, რომელმაც ბებიას ნამღერი 50 სიმღერა ნოტებზე ჩაიწერა და დაკარგვას გადაარჩინა. მისი ძმის – ფირანის შვილი – ეკა კვალიაშვილი ქართული ესტრადის ცნობილი მომღერალია.

ქართველმა მსმენელმა ყოველთვის იცოდა კარგი მომღერლის ფასი და სათანადო სიყვარულსაც მიაგებდა, მაგრამ იშვიათია მარო თარხნიშვილისეული პოპულარობა, დაფასება და პატივისცემა. მას ბუნებამ ყველაფერი უხვად უბოძა: ნიჭი, საოცარი ხმა, შესანიშნავი გარეგნობა, შრომისმოყვარეობა, მტკიცე ხასიათი, ხალხური სიმღერის ერთგულებისა და სიყვარულის უნარი. ამას ემატებოდა იმ დროისათვის იშვიათი რამ: ქალი – ლოტბარი, ქალი – მამაკაცთა რეპერტუარის უბადლო შემსრულებელი. ორმოცდაათი წლის მანძილზე ყველგან ისმოდა მაროსა და მისი გუნდის ნამღერი „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ბერიკაცი ვარ“, „ბიჭო, მამალმა იყივლა“, „ურმული“, „ოროველა“, „საიათნოვას მუხამბაზი“, „ორთავ თვალის სინათლე“, „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“, „მშვენიერო, შენ გეტრფი“... მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს არ დაზარებიათ და დაუთვლიათ: სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლიდან მარო თარხნიშვილის მონაწილეობით, მისი უშუალო შესრულებითა და ლოტბარობით, ჩატარებულია ცხრაასზე(!) მეტი საგუნდო კონცერტი.

მარო თარხნიშვილი 1969 წელს, 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მასალა დამუშავებულია *მაკა ხარძიანის*

მიერ წიგნიდან

*მარო თარხნიშვილი. 50 ქართლ-კახური სიმღერა.*

თბილისი, 2008

## ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები

### სიეტლის ქართული გუნდი „უანფორფაივ“

2008 წელს ორეგონში „ვილიჯ ჰარმონის“ სასიმღერო ბანაკის შემდეგ, ქართული სიმღერის ჩემ პირველ მასწავლებელს, ფრანკ კეინის ვუთხარი: „სიეტლში რომ დავბრუნდები, იქაურ ქართულ გუნდში ვიმღერებ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სიეტლში აუცილებლად იქნება“. მან გაიღიმა და თქვა: „რომ იყოს, უეჭველად მეცოდინებოდა. შენ თავად მოგიწევს გუნდის შექმნა“. ფრანკს გაკვირვებით შევხედე: როგორ უნდა შევქმნა ქართული გუნდი, მე, რომელმაც ერთი კვირის წინ არაფერი ვიცოდი ამ ქვეყნის შესახებ? ვიცოდი მხოლოდ 8 მარტივი ქართული ხალხური სიმღერა და ქართული სუფრის არსებობა! ასევე, ვგრძნობდი, რომ ძალიან შემეყვარდა ქართული სიმღერა და სუფრასთან გულითადი მომენტების გაზიარება, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, ამ გრძნობისთვის რა მომეხერხებინა.



ჯენ მორისი – ჯგუფის ხელმძღვანელი

როდესაც ბანაკიდან სახლში დავბრუნდი, ყველაფერს ვუსმენდი რაზეც ხელი მიმიწვდებოდა. *იუთუბზე* ვიპოვე ვიდეო, სადაც აურელია შრენკერი „ლალეს“ უკრავდა და მღეროდა. სიეტლში დავიწყე ქართული სიმღერის

მასწავლებლის ძეგნა, რომელიც საფანდურო და საჩონგურო სიმღერებს მასწავლიდა. იმ დროს სიეტლში ცხოვრობდა 50-მდე ქართველი, მათ შორის რამდენიმე პიანისტი და ერთი სუბიშვილების მოცეკვავე, მაგრამ – არცერთი ხალხური მომღერალი.

დაახლოებით იმ დროს (2009), საბედნიეროდ, შევხდი ერთ იაპონელ-თურქ ქალბატონს, იზუმი ფერბეკს, რომელიც დაინტერესებული იყო აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნების დოღზე დაკვრით. ის ახალი დაბრუნებული იყო საქართველოდან, სადაც დოღზე დაკვრას ვანო ჭინჭარაული ასწავლიდა სიღნაღში. ჩემ მსგავსად, საქართველოში წასვლამდე არც ის საუბრობდა ქართულად, მაგრამ სიეტლში დაბრუნებულს უკვე ნასწავლი ჰქონდა მხედრული ანბანი და გაშიფრული ვანოს მიერ მისთვის ქართულად მიწერილი წერილის ფრაგმენტები. შთამაგონებელი იყო მისი გატაცება, ესწავლა დოღზე დაკვრა, ქართული სიმღერები და ამ ქვეყნის კულტურა. მანვე გამაცნო ქართული ენის ჩემი პირველი მასწავლებელი, თბილისელი ქალბატონი ლია შარტავა. ჯგუფში ვიყავით ჩვენ ორნი და ქართულ ენაზე საუბრის, კითხვისა და წერის მოსურნე კიდევ ოთხი მოსწავლე. კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით, მივირთმევდით კიტრისა და პომიდვრის სალათს და განვიხილავდით უამრავ ფურცელზე გაკეთებულ ჩანაწერებს.



სიმღერის შესწავლის პროცესში პოლიკარპე ხუბულავასთან და კარლ ლინიქთან ერთად

მე, ასევე, ვურთიერთობდი კარლ ლინიქთან, რომელიც გახდა სიმღერის სწორედ ის

მასწავლებელი, რომელსაც ვეძებდი. აღმოჩნდა, რომ ჩემი მასწავლებელი ამერიკის მეორე ბოლოში – ნიუ იორკში იქნებოდა. მას ფეისბუქით მივწერე: „შეგიძლია დამეხმარო? ვერც ვიძინებ, ვერც ვჭამ! ძალიან მიყვარს ქართული მუსიკა, მაგრამ არც მასწავლებელი მყავს და არც ის ვიცი, ვისთან ერთად ვიმღერო ეს ლამაზი სიმღერები ჩემს ქალაქში!“ პასუხად მან გამომიგზავნა რაღაც ჩანაწერები და სიმღერის ტექსტები სასწავლად. საბედნიეროდ, მე მყავდა მეგობრები, რომლებიც სიამოვნებით ასრულებდნენ ახალ ხალხურ მუსიკას. ბევრი ჩვენგანი ერთად ვმღეროდით ფინის რაიონის სათემო გუნდში. ჩვენ ვმღეროდით ხოლმე „ვილიჯ ჰარმონიში“ ნასწავლ ამერიკულ a cappella და, ასევე, რამდენიმე კორსიკულ და სამხრეთ აფრიკულ სიმღერას. ერთხელ ჯგუფს მივუტანე ჩემს მიერ ნასწავლი ქართული სიმღერები. აღმოჩნდა, რომ შემემლო, მომღერლებისთვის მომეწონა სმენით სასწავლი ნაწილები, მიუხედავად იმისა, რომ არ მქონდა არანაირი პროფესიული განათლება, როგორც გუნდის ხელმძღვანელს. ამის შემდეგ 1 კვირით წავედი შოტლანდიაში საგანგებოდ ფრენკ კეინის მასტერკლასებზე დასასწრებად, საიდანაც ჩამოვიტანე კიდევ 10 სიმღერა და ჩემს გუნდს შევასწავლე.

ჩემდა საბედნიეროდ, კარლმა დამპატიჟა მის მიერ მოწყობილ ქართველი ლოტბარების ტურში, რომლის მონაწილე ქართული მუსიკის მოყვარულები ორი კვირის განმავლობაში ისწავლიდნენ ხალხურ სიმღერებს საქართველოში. მაშინვე დავიწყე ქართული ენის სწავლა, რასაც დაახლოებით ერთი წელი მოვანდომე. აღფრთოვანებული ვიყავი, რომ ბოლოს და ბოლოს მომეცა საქართველოში წასვლის შესაძლებლობა, რადგან, უკვე ორი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც მივხვდი თუ როგორ მიყვარდა ეს მუსიკა. ჩვენ დავბინავდით საოჯახო სასტუმროში თელავში, სადაც ლოტბარები თავად მოდიოდნენ სიმღერების სასწავლებლად. სულიკო ციმაკურიძე გვასწავლიდა იმერულ სიმღერებს, ხოლო ანდრო სიმამვილი სოფელ ართანთან – კახური სიმღერებს. უდიდესი პატივი იყო ასეთ ლოტბარებთან მუშაობა, რომელთაგან ერთი 81 წლის იყო, მეორე – 87-ის. ამერიკაში დაბრუნებულმა ჩემი გუნდის თორმეტივე წევრს

გავუზავნე ასეთი შინაარსის წერილი: „მინდა რომ ქართული გუნდი ვიყოთ. რეპეტიციები და ვინაშით კვირაში ერთხელ და ვიმღეროთ მხოლოდ ქართული სიმღერები. ვის გინდათ ჩემთან ყოფნა?“ რვა მათგანისგან მივიღე თანხმობა და 2010 წლის შემოდგომაზე დაიწყო ჩვენი, სიეტლის პირველი ქართული გუნდის, თავგადასავალი.

საინტერესოა ჩვენი სახელის ისტორია. „Onefourfive“ გუნდს „კვარტკვინტაკორდის“ შესაბამისად დავარქვი. ეს აკორდი ხომ ასე ხშირად ჟღერს ყველა კუთხის ქართულ სიმღერაში. ამერიკელებს ძლივს გავაგებინეთ, რომ ეს არაა ციფრების უბრალო თანმიმდევრობა, არამედ ეს ინტერვალები ერთად, ერთი აკორდის სახით გვხვდება ქართულ ფოლკლორში, რაც მათთვის წარმოუდგენელი იყო. გარკვეულწილად, მუსიკალური ხუმრობა გამოგვივიდა, რომელიც მხოლოდ მუსიკოსებისთვისაა გასაგები.

თავდაპირველად, მხოლოდ რამდენიმე სიმღერის ნოტები გვქონდა, მაგრამ ლოტბარებისგან ნასწავლ ახალ სიმღერებს ზეპირად ვასწავლიდი.

2011 წელს კიდევ წავედი საქართველოში. ამჯერად აჭარაში, სოფელ მერისში. ჩვენი პედაგოგები იყვნენ ჯემალ თურმანიძის ოჯახი და პოლიკარპე ხუბულავა. ჩემი ჯგუფი განსაკუთრებით აღაფრთოვანა ჩემ მიერ ჩამოტანილმა ორმა სიმღერამ. რომლებიც ტაშისა და ცეკვის თანხლებით სრულდებოდა; ასევე, საჩონგურო სიმღერებმა და მაღალმთიანი სოფელ მერისის ამბებმა. აღტაცებულები ისმენდნენ, თუ როგორ გადაკეტეს მოძრაობა და ჩვენთვის, უცხოელებისთვის გასაოცარი სუფრა გაშალეს შუა გზაზე, რომელიც გაგრძელდა ცეკვითა და ოჯახში დამზადებული ჭაჭით სადღეგრძელოების თქმით – ეს ხომ არასდროს მოხდება შტატებში!

იმავლე წელს ვეწვიე ისლამ ფილფანს სვანეთში, სოფელ ლენჯერში. ის მოთმინებით მასწავლიდა ჭუნირზე დაკვრას, მეუბნებოდა „ყოჩად, შენ ხომ მხოლოდ ერთი დღეა, რაც დაკვრა დაიწყე. მე უკვე 60 წელია ვუკრავ“. ვფიქრობ, რომ მოთმინება რომლითაც ვასწავლი, სწორედ მისგან ვისწავლე. დავრწმუნდი, რა რთულია ისწავლო ახალი ენა და ახალ საკრავებზე დაკვრა, თან ჩამოვიტანე მოსწავლედ ყო-

ფნის სიხარული, რაც გამოვიყენე ჯგუფთან „უანფორფაივ“.



ჯგუფი „უანფორფაივ“

2013 წელს, შესაძლებლობა მოგვეცა, გვემუშავა სიეტლში გასტროლებზე მყოფ ანსამბლთან „ზედაშე“ სიღნაღიდან. ბოლოს და ბოლოს ვისწავლეთ, როგორ უნდა შეგვეკრა ქალის აჭარული სარტყელები, რომლებიც ჩვენთვის 2011 წელს დავამზადდებინე. ქეთევან მინდორაშვილთან და შერგილ ფირცხელანთან მუშაობის დროს ბევრი რამ ვისწავლეთ ინტონაციის, სუნთქვის და კახური ორნამენტების შესახებ. ჩვენ, ასევე, ვიმუშავეთ მალხაზ ერქვანიძესთან, მასთან გატარებული 4 დღის მანძილზე ვისწავლეთ ყველაფერი, რაც შევძელით. ჩემი ბანები ყოველთვის ვერ მღერიათ შეწყობილად და ისე მკვეთრად არ გამოსდით სიმღერა, როგორც ტრადიციულ ქართულ ბანებს, მაგრამ მალხაზთან მუშაობის შედეგად ისინი მწყობრში ჩადგინე, წელში გაიმართნენ და ამაყად (და მკვეთრად) დაიწყეს სიმღერა. ჩემი პირველი და მეორე ხმები ორივე ხმას ერთდროულად სწავლობენ, ყურით. ეს ის არის, რისი გამოცდილებაც საქართველოში მივიღე – იცოდე სიმღერა, ნიშნავს, იცოდე არამარტო შენი, არამედ ყველა ხმა. ეს უცხოა დასავლელი მომღერლებისთვის. ჩვეულებრივ, ისინი მხოლოდ თავის პარტიას სწავლობენ და ნოტებიდან მღერიათ. მათ შეუძლიათ დაეყრდნონ სხვა ხმებს, ისე, რომ არც კი იცოდნენ, რა ხდება გუნდის სხვა ნაწილში, ან როგორ ეწყობიან ხმები. პოლიფონიური მუსიკის შესრულებას სჭირდება

იმის ცოდნა, თუ რა ხდება სხვა ხმებში, რათა შესრულება შეწყობილი იყოს.

უკვე ათი წელია, რაც შეყვარებული ვარ ქართულ მუსიკაზე. უფრო მეტად მიყვარდება ის ყოველი სუფრის შემდეგ (სიეტლში ეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ ხდება!), ან მაშინ, როცა უნდა ავუხსნა, რატომ მიყვარს ეს მუსიკა, იმ მომდერალს, ვინც საქართველოში არასდროს ყოფილა.

ქართულ ხალხურ სიმღერასთან ათწლიანი ურთიერთობის მანძილზე, რა თქმა უნდა, ბევრი ვისწავლე, მაგრამ მნიშვნელოვანი არის, რომ სასწავლი კიდეც ბევრია. ვფიქრობ, მომდევნო 50 წელი შემიძლია, ბედნიერად გავატარო ამის კეთებაში.

### ჯენ მორისი

ხელმძღვანელი სიეტლის ქართული გუნდისა „უანფორფაივ“

## ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი

### „შილდა“

ყვარლის მუნიციპალიტეტის ულამაზესი სოფელი შილდა კახეთის რეგიონის შუაგულში, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთის ძირას მდებარეობს. მინერალებით გამორჩეული ნიადაგი საუკეთესო პირობებს ქმნის ყურძნის უნიკალური ჯიშის – საფერავის მოსაყვანად, უმაღლესი ხარისხის წითელი ღვინის, ბუნებრივად ნახევრადტკბილი ქინძმარაულის დასამზადებლად და ამ რეგიონს მევენახეობის გამორჩეულ ზონად აქცევს.

აღსანიშნავია, რომ სოფელ შილდას უკავშირდება ქართული ფოლკლორის მოამაგეთა და სიმღერის უბადლო შემსრულებელთა სახელებიც. აქედან იყვნენ: პირველი ქართული ეთნოგრაფიული გუნდის დამაარსებელი ლადო აღნიაშვილი (1860-1904), არაჩვეულებრივი მომღერლები – ვინმე ნაზარა (გვარი უცნობია), ლევან ასაბაშვილი („დედას ლევანა“), ალექსი ელოშვილი („ოსტატი ალექსა“), მიხეილ ირემაშვილი, ნინია ელოშვილი და სხვ., ქალაქური სიმღერების შემსრულებელი მერი მიჩილაშვილი („შილდელი“).

საბედნიეროდ, მათი ხმები 1912 წელს ინგლისური ფირმა *გრამოფონის* ფირფიტებით, 1920-1950-იანი წლების ცვილის ლილვაკების კოლექციებით, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საექსპედიციო მასალებით, რადიოს ჩანაწერებით გვაქვს შემონახული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლევან ასაბაშვილი. ფართო საზოგადოებამ ქართლ-კახური სასიმღერო შემოქმედების ეს უბადლო მცოდნე და შემსრულებელი 1909 წელს, ზაქარია ფალიაშვილთან შეხვედრის შემდეგ გაიცნო (ქართული პროფესიული მუსიკის კორიფე ხალხური სიმღერების ჩასაწერად იყო ჩასული კახეთში). შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე იოსებ მჭედლიშვილის ინიციატივით 1929 წელს გამართულმა კონცერტმა კი ქართულ პოეზიაში „დედას ლევანას“ თემა გააჩინა. დიდებული მომღერლის სახელი თავიანთი ლექსებით უკვდავყვეს გიორგი ქუჩიშვილმა, ტიციან ტაბიძემ, გიორგი ლეონიძემ.



ანსამბლი „შილდა“

2015 წელს, სწორედ ამ ისტორიულ სოფელში დაარსდა ღვინის კომპანია „შილდა“ (*მეღვინეობა შილდა*), რომელმაც უაღრესად საინტერესო კონცეფცია – *ღვინო და პოლიფონია* – შემოგვთავაზა: მევენახეობის საუკუნოვანი გამოცდილება და მასთან განუყრელად დაკავშირებული ქართული ვოკალური მრავალხმიანობის ფენომენი დამფუძნებლებმა – ჩხარტიშვილების მეცენატთა ოჯახის ორი თაობის წარმომადგენლებმა – კულტურული ტურიზმის პროდუქტად აქციეს.

ბატონი ვანო ჩხარტიშვილი ამავდროულად გახლავთ საქველმოქმედო ფონდ „ქართუ-

ლი გალობის“ დამფუძნებელი. ეს ფონდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ილია II-ის ლოცვა კურთხევით 2012 წელს არის დაარსებული. მისი მიზანი ქართული ტრადიციული კულტურის შენარჩუნება, პოპულარიზება და მეცნიერული კვლევის ხელშეწყობაა, როგორც ჩვენ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ქართული ხალხური მუსიკის დიდ ქომავს, არაჩვეულებრივ შემსრულებელსა და ლოტბარს – ანზორ ერქომაიშვილს კარგა ხანია სურდა ყვარლის რაიონის ამ სოფელში ძირძველი სასიმღერო ტრადიციების აღდგენა. ფონდმა „ქართულმა გალობამ“ და ღვინის კომპანია „შილდამ“ ბატონი ანზორის ინიციატივას ხორცი შეასხეს და 2017 წლის 23 მარტს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ჩამოაყალიბეს დედას ლევანას სახელობის ფოლკლორული ანსამბლი „შილდა“. ანსამბლის ხელმძღვანელები, ძმები – ბექა და გოჩა ბიძინაშვილები გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები არიან (ბექამ, სულ ახლახანს, მაგისტრის დიპლომი დაიცვა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში). თელაველი ბიძინაშვილების მომღერალი საგვარეულოს წარმომადგენლები, ცნობილი წინანდელი მომღერლის, ლევან აბაშიძის მიერ 2002 წელს ჩამოაყალიბებულ ბიჭუნათა ანსამბლ „პატარა კახში“ გაიზარდნენ, რომელმაც 2009 წლამდე, ლევან აბაშიძის გარდაცვალებამდე იარსება. 2012 წელს ძმებმა ბიძინაშვილებმა აღადგინეს „პატარა კახი“, რომელიც დღეს სხვადასხვა თაობის მომღერლებს აერთიანებს და ქართლ-კახური სიმღერების აქტიურ პოპულარიზებას ეწევა. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ანსამბლი „შილდა“ ძირითადად სწორედ „პატარა კახის“ უფროსი თაობის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. მას კონსულტაციებს უწევს უხუცესი ართანელი მომღერალი, 94 წლის ანდრო სიმაშვილი.

ანსამბლი „შილდა“ ფართო აუდიტორიის წინაშე პირველად 2017 წლის მაისში წარდგა და, მას შემდეგ, რამდენიმე კონცერტზე, საერთაშორისო ფესტივალსა და ღონისძიებაზეც იმღერა. მათ შორის, ერთ-ერთი იყო 2018 წლის 22-26 იანვარს ქალაქ დავოსში (შვეიცარია) ყოველწლიური

კასპიის კვირეულში მონაწილეობა, სადაც მელ-ვინეობა შილდამ ანსამბლ „შილდასთან“ ერთად, კულტურული ღონისძიების, „კასპიის ღამის“ ფარგლებში ქართული მრავალხმიანობა, ღვინო და სამზარეულო წარმოადგინა.



ანსამბლ „შილდას“ აუდიოალბომი „ღვინო და პოლიფონია“

ამჟამად ანსამბლში 12 წევრია: ბექა და გოჩა ბიძინაშვილები (ანსამბლის ხელმძღვანელები), ავთანდილ ზატიკაშვილი, გურამ გურგენაშვილი, ზურაბ მამუკელაშვილი, ლევან გიგაური, გიორგი ელიზბარაშვილი, ბაჩანა კაკონაშვილი, გიორგი ზუროშვილი, გიორგი ტალიაური, გოგა მთვარელიშვილი, გიორგი აბრამიშვილი. ასრულებენ უმთავრესად კახურ სიმღერებს ლევან ასაბაშვილის, გიორგი ამუზაშვილის, ვანო მჭედლიშვილის რეპერტუარიდან; ცდილობენ, შეარჩიონ ამა თუ იმ სიმღერის შილდური ვარიანტები... ქართველ თუ უცხოელ მსმენელს ადაფრთოვანებს ანსამბლის წევრთა ნიჭიერება, ტრადიციულ საშემსრულებლო მანერასთან მაქსიმალური სიახლოვე და სიმწყობრე, რაც, ცხადია, მხოლოდ დაუღალავი შრომის, დიდი სიყვარულის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და საქმისადმი ერთგულების შედეგია.

ანსამბლმა „შილდამ“ უკვე აუდიოალბომიც გამოსცა, რომელშიც მშობლიური კახური, ძირითადად კი – შილდური ნიმუშებია შეტანილი. აღსანიშნავია, რომ ამ ალბომში შესულ ხუთ სიმღერაში („ალილო“, „მუმლი მუხასა“, „შაშვიკაკაბი“, „თამარ-ქალი“, „სოფლელი გლეხის შვილი ვარ“) სოლო პარტიას ბექა ბიძინაშვილი ანდრო სიმაშვილთან ერთად ასრულებს.

უახლოეს მომავალში იგეგმება აუდიო-ლბომის გამოცემა, რომელიც ლევან ასაბაშვილის მიერ შესრულებული ნიმუშების და „შილდას“ მიერ აღდგენილ იმავე სიმღერების ერთად მოსმენის საშუალებას მოგვცემს.

შემოდგომაზე ანსამბლი სოლო კონცერტის გამართვას გეგმავს, ზაფხულში კი მიწვეულია იტალიაში, ტოსკანის მხარეში, სადაც ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „მზეთამზესთან“ ერთად წარმოაჩენს ქართულ მრავალხმიანობას. კონცერტებზე იგეგმება *მელვინეობა შილდას* პროდუქციის დეგუსტაციაც.

### *ნინო მახარაძე-კალანდაძე*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## **უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ**

### **ჩემი ცხოვრება ქართულ მრავალხმიანობასთან ერთად**

ბავშვობაში ყოველთვის მაინტერესებდა მსოფლიო მუსიკა, მეც ვუსმენდი როკს, ჯაზს, ბლუზს, ისევე როგორც ამერიკელი ახალგაზრდების უმეტესობა, მაგრამ ინდონეზიურ გამელანის ან სამხრეთ ესპანეთის ფლამენკოს მოსმენა ყოველთვის ისეთი ენერჯითა და სიცოცხლისუნარიანობით მავსებდა, რასაც ვერ ვიღებდი მუსიკის უფრო პოპულარი ფორმებისგან. 16 წლის ასაკში, როდესაც რიჩმონდში (ვირჯინიის შტატი) ვცხოვრობდი, მყავდა მეგობარი გოგონა, რომელიც ნახევრად ქართველი იყო, მაგრამ მოსკოვში გაიზარდა და საქართველოს მოთხრობებიდან და ზღაპრებიდან იცნობდა. მან მითხრა, რომ ქართველები გასაოცარი სამხმიანი სიმღერით იყვნენ ცნობილი. 1991 წელს სკეიტბორდით მივედი ჩემს საყვარელ მუსიკალურ მაღაზიაში, მივადექი მსოფლიო მუსიკის განყოფილებას და დავინახე კომპაქტური დისკი ეგზოტიკური წარწერით. უფრო ახლოს რომ ვნახე, ეს აღმოჩნდა სამი ქართული ანსამბლის („სოინარი“, „მზეთამზე“

და „მთიები“) ნაკრები სათაურით „ქართული ხალხური მუსიკა დღეს“, თუმცა, ეს იყო ქალაქური ფოლკლორი. სხვა მუსიკისგან განსხვავებით, ეს მუსიკა ჩემში განსაკუთრებულ სიმებს შეეხო. მე ვუკრავდი გიტარას და ფლეიტას, და ძალიან მაინტერესებდა მუსიკა ზოგადად, მაგრამ, ასევე, მიყვარდა ხატვა, ამიტომ ძალიან მიჭირდა ამ ორს შორის არჩევანის გაკეთება. იმ ზაფხულს რუსეთში ვიმოგზაურე, სადაც შევიძინე ფირმა „მელოდიას“ გამოშვებული ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის ათობით ფირფიტა. რაც მეტს ვუსმენდი, მით უფრო მეტად მაჯადოვებდა ეს მუსიკა. ამ პირველი მგზაურობის დროს, სრულიად გაუცნობიერებლად, ვიყიდე ერთი ბოთლი ტიბაანური რქაწითელი, რომელიც არც გარეგნობით და არც გემოთი გავდა რამე ჩემთვის ნაცნობს; რა ვიცოდი მაშინ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ზუსტად იმ სოფელში მექნებოდა ვენახი და ზუსტად იმ ღვინოს ვაწარმოებდი!



**ჯონ ვურდემანი**

მუსიკის მიმართ ჩემი სიყვარულის მიუხედავად, ვრგმნობდი რომ ჩემში მხატვრის ნიჭი უფრო მძლავრობდა და ჩავაბარე მერილენდის (ბალტიმორი) ინსტიტუტის ხელოვნების კოლეჯში. პარალელურად, საქართველოს შესახებ ვკითხულობდი ყველაფერს, რაც ხელში ჩამივარდებოდა. გავეცანი ვაჟა-ფშაველას პოეზიას, ალბათ 25-ჯერ წავიკითხე „ვეფხისტყაოსანი“, თუმცა 1990-იანების დასაწყისში ამერიკაში ასეთი ლიტერატურის დიდი არჩევანი არ



იყო. 1994 წელს მაგისტრატურაში სწავლა გავაგრძელე მოსკოვის სურვიკოვის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტში. პირველივე წელს ადგილობრივი ქართველებისგან ქართულის სწავლა დავიწყე, ვესწრებოდი ქართული მრავალხმიანობის კონცერტებს... 1995 წელს მოსკოვში გავიცანი რაჟდენ ღვამიჩავა, რომელმაც თბილისში დამპატიჟა. მღელვარებით ველოდი იმ ქვეყანაში ჩასვლას, რომელიც ასე მაინტერესებდა. შემოდგომაზე ჩამოვედი და აეროპორტიდან რაჟდენმა და მისმა მეგობრებმა პირდაპირ რესტორანში წამიყვანეს. მე ვეგეტარიანელი ვარ და ჩემთვის მოსკოვში კვების რეჟიმის დაცვა არც ისეთი ადვილი იყო. ასეთ დროს, უეცრად აღმოვჩნდი ქორფა მწვანელით, მრავალნაირი ფხალით, სოკოთი, ყველის ღვეხელით, ბადრიჯნით, კვერცხიანი პომიდვრით და სხვა ამგვარი კერძებით სავსე სუფრასთან, მაგრამ ყველაზე მეტად მომაჯადოვა ქრვისფერმა ღვინომ და მჭევრმეტყველურმა სადღეგრძელოებმა. ალბათ დაახლოებით 10 თუ 15 სადღეგრძელოს შემდეგ მასპინძლებმა სუფრასთან მოიპატიჟეს მომღერლების ჯგუფი, პირველი თუ მეორე სიმღერის შემდეგ მივხვდი, რომ ზოგიერთი მათგანი მეცნობოდა 1991 წელს ნაყიდი პირველი კომპაქტური დისკიდან. მაშინვე ვიცოდი, რომ ჩემი ცხოვრება საქართველოში და მრავალხმიანობასთან არ იქნებოდა მარტივი, ძალიან არაპროგნოზირებადი ჩანდა...

მას შემდეგ, საქართველოში 1996 წელს დავბრუნდი; ვიმოგზაურე კახეთში, ვეძებდი მასალას ჩემი ბოლო პროექტისთვის მოსკოვში, ვფიქრობდი, რომ ეპიკურ ფერწერაში ეს იქნებოდა საქართველო და მისი სუფრის ტრადიციები. თელავში ვანო იანტბელიძესთან გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ, მისი ოჯახის სტუმართმოყვარეობით, ვანოსა და მისი მეგობრების მიერ მოყოლილი ამბებით მოხიბლული, სიღნაღში გავემგზავრე. იქ გვიან ღამით ჩავედი. მეორე დღეს ჩემი სასტუმროს აივნიდან რომ გადავიხედე, მივხვდი, რომ მხატვარი გიჟი უნდა ყოფილიყო, აქ რომ არ ეცხოვრა. ორი კვირის მერე სიღნაღში პატარა სახლი ვიყიდე. 1996-1998 წლებში უმეტეს დროს მოსკოვში სწავლას ვუთმობდი, საქართველოში ჩა-

მოვდიოდი დასასვენებლად და ჩემი სადიპლომო მასალის მოსამუშაოდ. გარდა ამისა, ყველგან მომღერლებს ვეძებდი... 1998 წელს დავიცავი სადიპლომო ნაშრომი, რომელზეც გამოსახული იყო რთველის შემდეგ ოჯახურ სუფრასთან მჯდომი მომღერალი და მოცეკვავე რამდენიმე თაობა. იმ შემოდგომაზე შეეხვდი ჩემს მეზობლად მცხოვრებ ახალგაზრდა მომღერალს, ქეთევან მინდორაშვილს, რომელთანაც 1999 წლის აგვისტოში ვიქორწინე. ჩვენს დამეგობრებაში უმნიშვნელოვანესი იყო ქართული მრავალხმიანი სიმღერის სიყვარული. 1999-2006 წლებში ძირითადად მხატვრობით ვიყავი დაკავებული, თუმცა ქეთევანთან ერთად ბევრს ვმოგზაურობდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ვხვდებოდი ხალხურ მომღერლებსა და მგალობლებს, ვიწერდით მუსიკას. იმ წლებში ქეთინოს ანსამბლ „ზედაშესთან“ ერთად ბევრჯერ ვიმოგზაურეთ ევროპასა და აშშ-ში, 2002 წლიდან ვმასპინძლობდით „ვილიჯ ჰარმონის“ (ვერმონტი) სასიმღერო ტურებს. ამასობაში, რამ ბევრი ვისწავლე ქართული მრავალხმიანობის შესახებ. თავადაც ვმღერი, მაგრამ, მხოლოდ მაშინ, თუ უკეთესი არავინ არის, რომ ჩემი პარტია იმღეროს, ჩემი სიმღერის ნიჭი ვერ შეედრება ჩემს სიყვარულს მუსიკის მიმართ. მრავალხმიანი სიმღერის ავთენტიკური შესრულებისკენ სწრაფვამ ჩემის ცხოვრების შემდეგ კართან მიმიყვანა.

2006 წელს შეეხვდი გელა ფათალიშვილს – მრავალი თაობის მევენახეს, რომელმაც მკითხა, თუ რატომ ვზრუნავდი მხოლოდ ქართული სიმღერის ავთენტიკურ შესრულებაზე, როდესაც მომღერლებს ავთენტიკური ღვინოც ესაჭიროებათ. ექსპედიციების დროს, შემჩნეული მქონდა, რომ საუკეთესო საკვებსა და ღვინოს ყველაზე შორეულ სოფლებში ვაგემოვნებდით; ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ არ მოიპოვებოდა საკვებისა და ღვინის ეს ცოცხალი სახეობები არც საქართველოს ქალაქებში, არც მის ფარგლებს გარეთ. ამიტომ, შევიძინეთ ვენახები და დავაარსეთ მეღვინეობა, სახელად „ხობის ცრემლები“, იმ იმედით, რომ ღვინის დაყენების უძველესი ქართული წესის გამოყენებითა და გულმოდგინე მზრუნველობის შედეგად, ღვინოშიც მივაგნებდით განსაკუთრებ-

ულ აკორდებს. ამჟამად, გვაქვს რამდენიმე რესტორანი. მათ შორის, კახეთში – „ხოხბის ცრემლები“ და „გიჟი ბროწეული“, თბილისში „ღვინო ანდერგრაუნდ“, „აზარფეშა“ და „პოლიფონია“, სადაც ხშირად გამოდიან ტრადიციული ხალხური ანსამბლები, ჩვენ კი, კულინარიის საშუალებით, ვცდილობთ, გამოვეხმაუროთ იმ ამოუცნობ ობერტონებს, რამაც საქართველოში ჩამომიყვანა.

*ჯონ ვურდმანი*

### *ტრადიციული საოჯახო ანსამბლი*

#### **მიქაბერიძეების მომღერალი ოჯახი**

*ჩვენი რუბრიკის სტუმარია მაია მიქაბერიძე, ტრადიციული ქართული მომღერალი ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ცნობილი მომღერლის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის, „ხელოვნების ქურუმის“, ფალიაშვილის პრემიის ლაურეატის, ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტისა და „მართვეს“ დამაარსებლის, რამინ მიქაბერიძის ქალიშვილი, რომელიც თავადაც აქტიურადაა ჩართული ტრადიციული ფოლკლორის პოპულარიზების საქმეში და შვილებსაც ქართული სასიმღერო ტრადიციების გამგრძელებლად ზრდის.*

**მ.ხ. – პირველ რიგში, საინტერესოა თქვენი აზრი საოჯახო მუზიციერების ტრადიციის შესახებ.**

**მ.მ. –** ქართული სასიმღერო ფოლკლორის განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საოჯახო ანსამბლების არსებობამ. სწორედ ასეთმა ტრადიციების მატარებელმა ოჯახებმა შემოინახეს სიმღერების ის უნიკალური ნიმუშები, რომლითაც ამაცობს ჩვენი ერი. მომღერალმა ოჯახებმა შექმნეს თავიანთი ვარიანტები სიმღერებისა, საბედნიეროდ, ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება.

**მ.ხ. –** საიდან იწყება მიქაბერიძეთა გვარში სიმღერის ტრადიცია?

**მ.მ. –** მიქაბერიძეები ტრადიციულ მომღერალთა გვარად ითვლება. ჩემი დიდი ბაბუები, ალექსან-

დრე და ფილიმონ მიქაბერიძეები მღეროდნენ ცნობილი ლოტბარის, სანდრო კაცსაძის გუნდში, ხოლო ბაბუა შალვა და მისი და-ძმები – გრიშა, ნოე, ვერიკო და ანა მიქაბერიძეები გამოირჩოდნენ იშვიათი ხმით და მუსიკალური მონაცემებით. შალვა და ლიუდი მიქაბერიძეების მრავალშვილიანმა ოჯახმა (11 შვილი) ღირსეულად გააგრძელა ტრადიცია. ამ ოჯახში გამოვლინდა რამინ მიქაბერიძის განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი. საბედნიეროდ, ჩვენი ოჯახი დღესაც აქტიურად აგრძელებს ამ მნიშვნელოვან საქმეს.

**მ.ხ. – რა როლი ითამაშა მამამ თქვენს პროფესიულ დაოსტატებაში?**

**მ.მ. –** მამამ ადრეული ასაკიდან მაზიარა ქართული სიმღერის მადლს. მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, ყოველთვის ახერხებდა აქტიური მონაწილეობა მიელო ჩემს სწავლა-განათლებაში. ახლა შვილიშვილებს უზიარებს თავის გამოცდილებას. ისეთივე თბილი და მოსიყვარულე ბაბუაა, როგორც მამა. თავს მივცემ უფლებას, როგორც პროფესიონალმაც შევაფასო მისი შემოქმედება, იგი ჭეშმარიტი მოღვაწეა. რამინმა წარმატებული სასიმღერო კარიერის პარალელურად, შეძლო აღეზარდა თაობები, რომლებიც დღეს დგანან ქართული ხალხური სიმღერის სადარაჯოზე. მისი აღზრდილები სრულიად საქართველოს მასშტაბით წარმატებით ხელმძღვანელობენ, როგორც ბავშვთა გუნდებს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო ფოლკლორულ ანსამბლებს.



**მიქაბერიძეების ოჯახი**

**მ.ბ.** – რა ასაკიდან დაიწყეთ სიმღერა? როგორც ვიცი, „მართვეს“ ერთადერთი გოგონა იყავით, რომელიც, სხვათა შორის, მე, დიდი ხნის მანძილზე, ბიჭი მეგონა.

**მ.მ.** – როგორც მეუბნებიან, სიმღერა ლაპარაკზე ადრე დავიწყე. ჩვენს ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ მამას მეგობრები – ანზორ კავსაძე, ჰამლეტ გონაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ჯემალ ჭკუასელი და სხვები, რომლებთან ერთადაც ხშირად ვმღეროდი კრიმანჭულიან სიმღერებს. როდესაც მამამ და ანზორ ერქომაიშვილმა გადაწყვიტეს, შეექმნათ ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი, კრიმანჭულის შემსრულებლად მე ამიყვანეს. ასე აღმოვჩნდი ერთადერთი გოგონა „მართვეში“.

**მ.ბ.** – როგორი იყო „მიქაბერიძეების საოჯახო ანსამბლის“ შემადგენლობა თქვენს ბავშვობაში?

**მ.მ.** – საოჯახო ანსამბლში ვიყავით: ბიძა – იური მიქაბერიძე, ბიძაშვილები – ლაშა და ხათუნა, მე და მამა.



რამინ მიქაბერიძე შვილებთან – მაია და უმცროს რამინ (რამიკო) მიქაბერიძეებთან ერთად

**მ.ბ.** – როგორ წარიმართა თქვენი მომავალი?

**მ.მ.** – ჩემი მომავალი ლოგიკური გაგრძელება აღმოჩნდა ოჯახური ტრადიციებისა. დავამთავრე ზ. ფალიაშვილის სახელობის „ნიჭიერთა ათწლედი“ თეორიული განხრით, შემდეგ სწავლა გავაგრძელე ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გუნდის დირიჟორის სპეციალობით.

**მ.ბ.** – ვიცი, რომ ამჟამად თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლით და

გარდა ამისა, გყავთ რამდენიმე მომღერალთა გუნდი. გვიამბეთ ამის შესახებ.

**მ.მ.** – 1993 წელს ჩამოვყალიბე ბავშვთა ფოლკლორული გუნდი „საგალობელი“, 2017 წელს კი – „პატრიარქის ნათლულები“, რომელთაც დღემდე ვხელმძღვანელობ. სხვადასხვა დროს ვხელმძღვანელობდი: ქ. ბათუმის ბავშვთა სახელმწიფო ფოლკლორულ გუნდს (მამასთან ერთად), თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის გუნდს, 2005 წლიდან დღემდე ვარ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2017 წლიდან – სამუსიკო მიმართულების ხელმძღვანელი.

**მ.ბ.** – რას მოიცავს თქვენი რეპერტუარი, რითი საზრდოობს, რა პრინციპით არჩევთ სიმღერებს და როგორ ნიმუშებს ანიჭებთ უპირატესობას?

**მ.მ.** – ჩვენი რეპერტუარი მოიცავს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებსა და საგალობლებს, ქალაქური სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშებს და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, მათ შორის, მუსიკას ქართული კინოფილმებიდან. რეპერტუარს სირთულის მიხედვით ვარჩევ, ვითვალისწინებ რა ინდივიდუალური შემსრულებლების შესაძლებლობებს.

**მ.ბ.** – როგორც ვიცი, ბატონი რამინი დღემდე აქტიურადაა ჩართული ფოლკლორულ ცხოვრებაში. რას გვეტყვით ამის შესახებ?

**მ.მ.** – ამჟამად მამა ხელმძღვანელობს უსინათლოთა საზოგადოების ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს „კრწანისი“, ასევე, არის ბათუმის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მომღერალთა ანსამბლისა და ანსამბლ „საგალობლის“ კონსულტანტი.

**მ.ბ.** – როგორც ვიცი, ხუთი შვილის დედა და ორი შვილიშვილის ბებია ბრძანდებით. როგორ გრძელდება მათში მიქაბერიძეების სასიმღერო ტრადიციები? როგორი შემადგენლობისაა ამჟამად „მიქაბერიძეების საოჯახო ანსამბლი“?

**მ.მ.** – ჩვენი საოჯახო ანსამბლის ახლანდელ შემადგენლობაში მღერიან: მამა – რამინ მიქაბერიძე, თქვენი მონა-მორჩილი, ჩემი ძმა – უმცროსი რამინ მიქაბერიძე, ჩემი შვილები – თორნიკე, გიორგი, ნინო და ანასტასია მანჭკავეები. ჩემი შვილები

მდერიან, როგორც საოჯახო ანსამბლში, ისე – ანსამბლ „საგალობელში“.

**მ.ბ.** – გვიამბეთ თქვენი საოჯახო ანსამბლის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

**მ.მ.** – ჩვენი საოჯახო ანსამბლი ხშირი სტუმარია ტელე და რადიო გადაცემებისა; გამოცემული გვაქვს აუდიოალბომი; აქტიურად ვმონაწილეობთ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში.

**მ.ბ.** – რას გვეტყვი თქვენ მიერ ჩამოყალიბებული გუნდების მიღწევების შესახებ?

**მ.მ.** – გუნდები ჩემი ხელმძღვანელობით წარმატებით მონაწილეობენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში, ფესტივალ-კონკურსებში, რისი დამადასტურებელიცაა მრავალი ჯილდო და საპატიო სიგელი.

**მ.ბ.** – სამომავლოდ რას გეგმავთ ამ მიმართულებით?

**მ.მ.** – ვაგრძელებთ აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციის მიზნით.

**მ.ბ.** – როგორც ვიცი, სულ ცოტა ხნის წინ ბატონი რამინი იუბილარი იყო. ტმკსც-ის სახელით ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ვუსურვებთ მას კიდევ მრავალი წლის მანძილზე.

**მ.მ.** – დიდი მადლობა.

ინტერვიუ ჩაიწერა ტმკსც-ის  
სპეციალისტმა *მაკა ხარძიანმა*

## ბიორნ ისფალტის მუსიკა ფილმისათვის „ყაჩაღის ასული რონია“ და მისი მსგავსება ქართულ მრავალხმიანობასთან

ფილმი-ფანტაზია „ყაჩაღის ასული რონია“ ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოების მიხედვით გადაიღო რეჟისორმა ტაგე დანიელსონმა (შვედეთი) 1984 წელს. 1985 წელს შვედეთის ყველაზე მაღალშემოსავლიანი ფილმი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ვერცხლის დათვით“ დაჯილდოვდა. მუსიკა ეკუთვნის შვედ კომპოზიტორს, ბიორნ ისფალტს.

შვედური მონაცემთა ბაზის ინტერნეტ გვერდზე ბიორ ისფალტსა და მის მუსიკაზე წერია: „ფილმში „ყაჩაღის ასული რონია“ ის წარმატებით გვიხატავს წარსულსა და მარადისობას რიტმული, საცეკვაო და, ამასთან, ემოციური მუსიკის მეშვეობით“.



რამდენიმე წლის წინ, ერთმა ჩემმა მეგობარმა, სახელად ლარსმა, კითხვაზე, მოეწონა თუ არა ჩემ მიერ მიცემული ქართული ხალხური მუსიკის კომპაქტური დისკი, მიპასუხა: „დიახ, ის ჰგავს მუსიკას ფილმიდან „ყაჩაღის ასული რონია“. მართალია, ისფალტის მუსიკა ნაწილობრივ მოდალურია, ზოგიერთ სიმღერას შუასაუკუნეების ბალადის ფორმა აქვს, ზოგიერთი კი უტექსტო, ხმოვნებსა და მარცვლებზე აგებული ვოკალური კომპოზიციანია. მაგრამ რატომ არ ახსენა ლარსმა მსგავსება შუასაუკუნეების მუსიკასთან? მაგალითად, მე-14 საუკუნის ფრანგულ პოლიფონიასთან, სადაც დასავლეთ საქართველოს სიმღერების მსგავსად, გვხვდება სამხმიანობა, მოდალური აკორდები კვარტითა და კვინტით... იქნებ ლარსმა, როგორც შვედმა-ფინელმა, მისი მშობლიური ენის (შვედური) გამო, სწრაფად დაუკავშირა ქართული მრავალხმიანი სიმღერა შვედურენოვან სიმღერებს შვედურ ფილმში? ან, იქნებ შუასაუკუნეების პოლიფონია მისთვის კატეგორიზებულია, როგორც დასავლური მუსიკის ხელოვნება და, ამიტომ, არ შეიძლება, არსებობდეს კავშირი ქართულ ხალხურ და ადრეულ დასავლურ პოლიფონიას შორის? ან, იქნებ ისფალტის მიერ ფილმისთვის დაწერილი მუსიკა სიმღერის გლახურ შესრულებას უფრო მეტად ეხმარება, ვიდრე შუასაუკუნეების პოეზიას ან მუსიკას?

ამასობაში, შევამჩნიე, რომ ქართულ მრავალხმიანობას სხვებიც აკავშირებდნენ ხსენებული ფილმის მუსიკასთან. მაგალითად, ქალბატონი აული, რომელსაც 2017 წლის შემოდგომაზე ფინეთში, ქართული სიმღერის შემსწავლელთა ბანაკში შევხვდი. აი, რა პასუხი გამცა მან კითხვაზე, თუ რა იზიდავს ქართულ მრავალხმიან სიმღერასა და აღნიშნული ფილმის მუსიკაში: „არქაიზმი.... ასეთი ძალა, კვარტები და კვინტები.“



**ბიორნ ისფალტი**

ფილმის შესახებ ინფორმაციის ძიებისას, სხვადასხვა შედეგურენოვან ფორუმებზე მოვხვდი, სადაც მსგავს პარალელებს არაერთხელ გადავაწყდი. შესრულების ტექნიკა რამდენჯერმე იყო ნახსენები, როგორც მსგავსების ინდიკატორი. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ვიღაცამ ფილმის მუსიკის სტილი არა ქართულს, არამედ სკანდინავიურს შეადარა, მაგრამ ქართულთან შედარება ნამდვილად სჭარბობდა.

**მსგავსება ქართულ მრავალხმიანობასთან**

რა განაპირობებს მსგავსებას ქართულ მუსიკასთან? ეს არის სამხმიანი სიმღერა, ის მოდალურია, მასში ხშირად გამოიყენება კვარტები და კვინტები. როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლეხური, მხიარული სიმღერა „გამშვენებული“ წამყვანი ხმით, რაც, ჩემი აზრით, ქმნის სპონტანურობის, ბუნებრიობის და არა შუასაუკუნეების დახვეწილი მუსიკალური ხელოვნების შთაბეჭდილებას. ვფიქრობ, ამ ასოციაციის ერთი მიზეზი არის სიმღერის დროს სხვადასხვა ხმოვნების ან

მარცვლების გამღერება, რაც ზოგიერთ ქართულ სიმღერაშიც გვხვდება.

სიმღერა ფილმის პირველი სცენაში მაგონებს სვანურ ზარს, ტირილს სამგლოვიარო ცერემონიაში; გამშვენებული სიმღერა და წამყვანი მელოდია ქართლ-კახურის მსგავსია. ზედა ხმის, მოძახილის (როგორც მას ქართულად ჰქვია) ფუნქცია აქაც ჩანს. როცა ბავშვი ვიყავი და ქართული სიმღერის გამოცდილება ჯერ არ მქონდა (1990 წლამდე), მახსოვს ერთგვარი ნოსტალგიური განწყობა ცხენებით ნელა მიმავალი ქურდების სიმღერის მოსმენისას ფილმის დასაწყისში. დღეს, რაც უნდა ვეცადო, ამ მუსიკის გაგონებისთანავე, მხოლოდ ქართული სიმღერა მახსენდება. შესაძლოა, ამის მიზეზი არის ტყით დაფარული მთიანი ლანდშაფტი ფილმის საწყის სცენაში, რაც ჩემში აღძრავს საქართველოს ისეთი მთიანი რეგიონების ასოციაციას, როგორცაა სვანეთი და რაჭა. ამ სიმღერაში წამყვანი არის შუა ხმა, როგორც ხშირად ხდება ქართულ პოლიფონიაში. მართალია, ხშირად, ბანი არ არის ისეთი სტაბილური, როგორც ბურდონია აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებში, მაგრამ ის მაინც ნათელია, რომ ბანი და ზედა ხმა თითქოს წამყვანი ხმის თანმხლებია, ზოგ შემთხვევაში კი, თითქოს ეპასუხებიან მას. ზოგ სიმღერაში სოლისტი მღერის ტექსტს, სხვა ხმები აკომპანემენტს უკეთებენ, უერთდებიან ბოლო ფრაზაში ან იმეორებენ მას. მაგალითად, სიმღერაში „მე ვხედავ მეთაურს“ სოლისტი მღერის ტექსტს და შუა ხმა უერთდება ბოლო ფრაზაში. ერთ-ერთ სიმღერაში სახელწოდებით „მატისი და ბორკა“ მანძილი ზედა ხმებსა და ბანს შორის ძალიან დიდია, რაც, როგორც მე ვიცი, იშვიათია ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობაში. არის უნისონური სიმღერებიც, რაც ქართულ ტრადიციულ მუსიკაში იშვიათად შემხვედრია.

ფილმში ქალთა ხმები უფრო ნაკლებად ისმის, ვიდრე მამაკაცთა. ეს რონიას, დედამისის, ლუიზასა და ერთი დიდგვაროვანი ქალბატონის ხმებია. ფილმის დასასრულს, მათი სამხმიანი სიმღერა, მე ვიტყვოდი, შთამბეჭდავი მოდულაციით მთავრდება, რითაც ის კახურ სუფრულ სიმღერას ჰგავს.

როდესაც რონიას შესახებ დამატებით ინფორმაციას ვეძებდი, მეტად საინტერესო ცნობას წავაწყდი. ქართული სიმღერის შემსრულებელი შვედური ანსამბლის, „დოლურის“ 2003 წლის საკონცერტო აფიშაზე ეწერა: „ამჯერად ანსამბლი „დოლური“ გოტებორგიდან გთავაზობთ მუსიკას „ყაჩაღის ასული რონიას“ სტილში“.

ჩემდა გასაოცრად, შვედურ ვიკიპედიაში ვკითხულობთ, რომ შვედეთში იშვიათი არ არის, რომ, ვინც მოისმენს მამაკაცთა ქართულ გუნდს, უჩნდება ფილმის „ყაჩაღის ასული რონიას“ სიმღერების ასოციაცია. თუ მართლა ასეა, მაშასადამე, ეს უკვე ერთგვარად მტკიცე კონცეფციაა შვედეთში და არა რაღაც შემთხვევითი.

და ბიორნ ისფალტი? საინტერესოა, იცნობდა თუ არა ის ქართულ მრავალხმიან სიმღერას ამ ფილმისთვის მუსიკის დაწერამდე? ან იქნებ ეს შეიძლება აიხსნას ევროპული პოლიფონიის ადრეული ფორმის ცოდნით? ისფალტი ცოცხალი რომ იყოს, აუცილებლად დაფუკავშირდებოდა და ვკითხავდი მას ამის შესახებ...

**მერი-სოფია ლაკოპულოსი**  
თავისუფალი ფინელი მუსიკოსი

### **უცხოური მრავალხმიანობა**

### **პრემანას ტრადიციული მრავალხმიანობა**

*იტალიელი კინოდოკუმენტალისტი, რენატო მორელი, რომელსაც რამდენიმე ფილმი აქვს გადაღებული ჩრდილოეთ იტალიის ერთ-ერთი სოფლის, პრემანას სასიმღერო ტრადიციების შესახებ, საქართველოს არაერთხელ სწვევია – იგი ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებზე ხშირად ჩამოდის საკუთარი ფილმებით. ამ ვიზიტების დროს ის განსაკუთრებით დაუმეგობრდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს, ანსამბლ „ადილეის“ წევრს, იტალიური კულტურით დაინტერესებულ ახალგაზრდას, სანდრო ნათამეს, რო-*

*მელიც იტალიის ხშირი სტუმარიცაა და საქართველოში ჩამოსული იტალიელების სასურველი მეგზურიც.*



**რენატო მორელი და სანდრო ნათამე**

*მათ ერთმანეთი 2014 წლის სექტემბერში, ტრადიციული მრავალხმიანობის მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმზე გაიცნეს და პირველი შეხვედრისთანავე დამეგობრდნენ. იმავე წლის დეკემბერში, ახალი წლის აღსანიშნავად იტალიაში ჩასული სანდრო რენატომ პრემანაში დაპატიჟა საკუთარი წიგნისა და დისკის პრეზენტაციაზე. „ნ იანვარს პრემანაში „სამი მოგვის“ დღესასწაულს დავესწარი, რამაც ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა“ – გვითხრა სანდრომ.*

*გადავწყვიტეთ, რენატო მორელისთვის გვეთხოვა, პრემანას ტრადიციულ მრავალხმიანობაზე ჩვენი მკითხველისთვის უფრო დაწვრილებით მოეთხრო.*

**რენატო მორელი:** „პრემანა, ვალსასინას (ლეკო, ჩრდილოეთ იტალია) ყველაზე მაღალმთიანი სოფელი, მსოფლიოში მაკრატლების წამყვანი მწარმოებელია. დანებისა და ლითონის სხვა პროდუქციის წარმოების გარდა, სოფელი, ასევე, ცნობილია საინტერესო სასიმღერო ტრადიციით, რომელიც სრულდება წლიური ციკლის მისთვის განკუთვნილ დღეებში. პრემანას განსაკუთრებული მრავალხმიანი სიმღერა ცნობილია როგორც ტიირ. ეს არის სიმღერა თითქმის ყვირილით, რომელსაც ასეთს ხდის ძლიერი ხმები და მაღალრეგისტრიანი ტესიტურა.“



**„კორპუს დომინი“ პრემანაში**

წლის განმავლობაში ეს ტრადიციული რიტუალი რამდენჯერმე სრულდება. კერძოდ, მნიშვნელოვანი არის სამი მომენტი: *პასტი* (ივნის-ივლის-აგვისტოს პერიოდში), *კორპუს დომინი* (6 ივნისი), *სამი მოგვი* (5 იანვარი).

**პასტი**

პრემანას ზემოთ, მთებში არის თორმეტი ალპური საძოვარი. მაღალმთიან მდელოებზე მდებარე დასახლებებში ქალები და ბავშვები ზაფხულს ატარებენ საქონლის მწყემსვაში, წველაში, კარაქის და ყველის გაკეთებაში. სეზონის ბოლოს, თითოეული საძოვარი აწყობს *პასტს*, უზარმაზარ კოლექტიურ სადილობას, რასაც მოჰყვება ძირითადი დღესასწაული ხმამაღალი სიმღერით მთელი ღამის განმავლობაში.

**კორპუს დომინი**

ეს არის ქრისტეს ხორცისა და სისხლის პატივსაცემად მოწყობილი დღესასწაული, რომელსაც საზეიმო მსვლელობის ფორმა აქვს. პროცესიის მთელი მარშრუტის გაყოლებაზე ჩამწკრივებულია ყვავილები, ბანერები, ალმები და სხვა დეკორატიული ატრიბუტები. პროცესიას, რომელიც ზეიმით აღნიშნავს „წმიდა მსხვერპლშეწირვას“, ლიტურგიკული საგალობლების ხმამაღალი მღერით წინ მიუძღვიან უძველესი საძმოები.

**სამი მოგვი**

ნათლისღების წინა დღეს, სოფლის ქუჩებში სიმღერით ჩაივლის მომღერალთა ჯგუფი 20 წლის ასაკის სტიქაროსნების წინამძღოლობით. ყოველ სახლთან გაჩერებისას ისინი სიმღერით ითხოვენ მოწყალებას მთელი თემის მხადაჭერით. ნათლისღების დღეს ხმამაღლა და უკანასკნელად ისმის სიმღერა „ტრე რე“ (სამი მოგვი) სოფლის ცენტრში მდებარე სამრევლო ეკლესიაში.

**სანდრო ნათამე:** „პრემანელებში დავინახე ის ღირებულებები, რომელიც ჩვენ გუნდს, „ადილის“ გაჩნია. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ რენატოსთან ერთად დავიწყე ზრუნვა ამ სოფელში ჩემი ანსამბლისთვის შემოქმედებითი ტურის მოწყობაზე“.



**ანსამბლი „ადილი“ და პრემანელები საქართველოში**

2016 წელს „ადილი“ ჩავიდა პრემანაში, 2017 წელს კი პრემანელების 30 კაციანი გუნდი ეწვია საქართველოს. ჩვენ ერთად ვიმოგზაურეთ იმერეთში, აჭარაში, გურიასა და სვანეთში; 2017 წლის 4 სექტემბერს კი გავმართეთ ერთობლივი კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში. ამ კონცერტის ვიდეო-აუდიო ჩანაწერების დისკი უკვე გამოიცა და პრეზენტაციაც მოეწყო საქართველოში. იგეგმება პრეზენტაცია პრემანაშიც. გარდა ამისა, მონტაჟდება ფილმი, რომელიც გადაღებულია პრემანელების საქართველოში მოგზაურობისას.

მასალა დამუშავებულია ტმკსც-ს სპეციალისტის, **მაკა ხარძიანის** მიერ

## რამდენიმე სიტყვა გალობა-სიმღერაზედ

გვსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ საზოგადოთ გალობაზედ-სიმღერაზედ, თუ რა კავშირი აქვს მას ხალხის ცხოვრებასთან; რა პედაგოგიური, ხალხოსნური – ნაციონალური, ხელოვნური და ზოგადი მნიშვნელობა აქვს გალობა-სიმღერასა, რა გავლენა აქვს მას ადამიანის სულიერს ცხოვრებაზედ და შკოლაში; სად უნდა ვეძიოთ „ხალხური“, სამშობლო ხმები და სიმღერა და როგორ უნდა დავაფასოთ და გავარჩიოთ იგი სხვა „არა ხალხურის“ ანუ ხელოვნურის სიმღერისაგან? გალობა ყოველგან და ყოველთვის შეერთებული იყო ხალხის ცხოვრებასთან, ხალხის ხასიათთან და მიმართულებასთან; იგი შეადგენდა და შეადგენს უაღრეს სიამოვნებას ხალხისას: დიდს დღესასწაულებში, ყოველს დროს: ზამთარში თუ ზაფხულში, შემოდგომაზედ თუ გაზაფხულზედ ჩვენი ხალხი, ახალგაზდა და მოხუცი, ქალი და კაცი, იკრიბებოდა ერთათ და ილხენდა სიმღერითა და თამაშობით (ცეკვა), რომელიც ყოველთვის განუშორებელი იყო პირველთან. ვის არ უნახავს ქალების „დიდება“ დღესასწაულებში, როდესაც ქართველი ქალ-რძალი ორს გუნდათ იყოფა და გარს უვლიან მღერით ეკლესიასა, რომლის სახელის წმინდასაც აქებენ და ადიდებენ სიმღერის ლექსებშია. ვის არ გაუგონია „დიდების“ მშვენიერი, მწუხარების გამაქარვებელი (თუმც მწუხარებითვე სავსე) კილო! დღესასწაულების გარდა ვის არ უნახავს „დიდებაზე“ ნავალი ქალები ხანგრძლივის გვალვის ანუ ავღრიანობის დროს, როდესაც მღერიან სხვა სიმღერასა „იავნანას“ ხმაზედ. მწუხარების დროისათვის კი აქვს ქართველ ქალებს მოგონილი სიმღერა: ავადმყოფს (ყვავილიანს, წითლიანს და სხვა ამგვარს) უმღერიან მშვენიერს „იავ-ნანა, ვარდო ნანას“ და რა არის მიცვალებულზედ ტირილი, თუ არ სიმღერა მწუხარების ჟამისა? ვისაც გაუგონია კარგს მომტირალთა „ზარით“ ტირილი, იგი დამეთანხმება, რომ ჩვენს ქართულს ტირილს ჰარმონიით და სიმწუხარის კილოთი თვით წარჩინებული „Requiem“ ვერა სჯობია!

კაცების სიმღერა ხომ ყოველთვის და ყოველგან შეგიძლიანთ მოისმინოთ. დაუგდეთ ყური,

რანაირის სხვადასხვაობით არის სავსე ქართული ხალხური სიმღერები: ხან ხმამაღლივი, თითქოს ზეცას მფრინავი კილო, ხან ღიღინი, სავსე მწუხარების გრძნობით... დღესასწაულობაში – ხატობას კაცებიც უვლიან გარს ეკლესიასა და ადიდებენ უფრო წმ. გიორგის; ეს სიმღერა სამჯერ გარს შემოვლის შემდეგ გარდადის „ფერხულად“. აბა ახლა მუშაობის დროს უყურეთ გლეხის „ჰოპ-ჰოპ“-ის სიმღერას – მკის დროს, რანაირის ღულუნით მოისმის; მუშაობის გათავების შემდეგ, „მუშური“ სიმღერა... ახლა სუფრაზედ უყურეთ კახური ღვინით შეზარხომებულს ქართველებს, როგორს ტკბილს და სასიამოვნო სიმღერებს ამბობენ: გრძნობით სავსე გრძელი და ძველი „მრავალჟამიერ“, რომელიც დროგამოშვებით დაუბოლოვებელი შეიქმნება ხოლმე... არ შეიძლება არ მოვიხსენოთ „ურმულიც“, რომელიც ტკბილად მოისმის, მომეტებულად ღამე, როდესაც ძნის ურემზე მჯდომი მეურმე ტკბილათ დაჰლულუნებს მწუხარე სიმღერასა!..

ზემოხსენებულიდან სჩანს, რომ ქართველი ხალხის მრავალგვაროვანი ცხოვრება განუშორებელი ყოფილა სიმღერა-გალობასთან. და თუ ამგვარი კავშირი არსებობს ხალხის ცხოვრებისა და სიმღერებს შორის, ცხადია, რა დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს გალობა-სიმღერას ხალხზედ. მოიგონეთ საბერძნეთის მომღერალნი – რაჰსოდები და მათ შორის უკვდავი ჰომერი; საფრანგეთისა და ესპანის „ტრუბადურები“; გერმანიის „მეიზენჰერები“ და ჩვენი „საზანდარები“, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მათ... პედაგოგიური მნიშვნელობა გალობა-სიმღერისა და საზოგადოთ მუსიკისა ადვილად გასაგებია, თუ მოვიგონებთ, რა დიდი გავლენა აქვს გრძნობას ჩვენს სულიერს ცხოვრებაზედ: მუსიკა და, რასაკვირველია, კილოც, მეტყველება, ენა გრძნობისა, არამცთუ კერძო პირებისა, არამედ მთელის კაცობრიობისაც. რადგანაც გრძნობა შეიცავს ადამიანის სიხარულსა და მწუხარებას, ფიქრსა და იმედსა, მიზანსა და ლტოლვილებასა, რწმუნებასა, ამისათვის სიმღერა აღიარებს და გვიცხადებს ადამიანის სულიერს ცხოვრებას... ამისათვის სამშობლო ხმების – კილოების გაგონების დროს კაცი ასე ბევრსა გრძნობს და იგონებს წარსულს. და თუ აგრე ძლიერ მოქმედობს სიმღერა კაცის გრძნობაზედ, ცხადია, რომ იგი



აკეთილშობილებს მას და კაცობრიობისათვისაც გასაგებათა ჰხდის. რადგანაც გრძნობა ადამიანის სულიერის ცხოვრების გამამხილებელია, ამისათვისაც უკეთესდება, რბილდება და კეთილშობილდება კაცის ხასიათი გალობის ზედმოქმედებით... გალობა-სიმღერას შეუძლიან იქონიოს უაღრესი ნაციონალური (ხალხოსნური) მნიშვნელობა. მუსიკალურის განათლების დედაბოძათ, ქვაკუთხედ უნდა იყოს მშობლიური სიმღერა, სამშობლო კილო. ხალხის სიმღერა არის იდიოლური განხორციელება ხალხის ცხოვრებისა, ხალხის ისტორიისა; იგი არის მქონი ნაციონალურის აღზრდის საფუძველისა. სიმღერაში ხალხი იგონებს თავის წარსულს ცხოვრებას, აღმოსთქვამს თავის შეხედულებას ცხოვრებაზედ, არის ერთი იმ საშუალებათაგანი, რომლის შემწეობითაც მკვიდრდება რომელიმე ხალხის სხვადასხვა განცალკევებულის ნაწილების ერთობა! ვინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ გერმანიაში მომღერალთა გუნდებსა გერმანიის სხვადასხვა ტომთ ერთად შეერთებაში. სიმღერა მოაგონებს ხალხს მათ წინაპართა გმირობას, მამულის სიყვარულისა, მამულისათვის თავდადებისა და დაცემულს ხალხს აღადგენს...



ჩვენი ხალხი დიდს ნიჭს იჩენს მუსიკაში. ამას ცხადად გვიმტკიცებენ ჩვენის სიმღერების მშვენიერი კილოები, რომელნიც თავის სიტკბოთი და ჰარმონიით არ ჩამორჩებიან ბევრს კომპოზიციის ნაწარმოებსა. ჩვენს ხალხში რომ გავრცელებული იყოს მუსიკალური განათლება, იქნება ქართველებშიაც გამოჩენილიყვნენ მოცარტები, როსსი-

ნები, ბეტხოვენიები, ტურჩანინოვები, ბარტინანსკები... ამის შემდეგ, ცხადია, რომ ხალხურის სიმღერის კაი ფეხზე დაყენებას დიდი მნიშვნელობა ექნება ეკლესიურის გალობის განკარგულებაზედ...

სიმღერა არის „ხალხური“ და არა ხალხური (ხელოვნური, ბაიათები, მუხამბაზები და სხვა კილოები ჩვენში). ნამდვილს ხალხურს მხოლოდ სოფელში გაიგონებთ და არა ქალაქში (ნამეტნავათ თბილისში). აქ თუ მღერიან ხალხურს სიმღერას, იგი ან ისე გადამახინჯებულია, რომ სრულებით აღარ ისმის ის გრძნობა, რომელსაც მასში სოფლის ხალხი ჰხატავს, ან კიდევ არის კინტოური ერთ ხმიანი სიმღერა და სპარსული ბაიათები. ამისათვის „ხალხური“ სიმღერა შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმ სიმღერას, რომელსაც სოფლის ხალხი მღერის, რომელსაც თვით სოფლის ხალხი იგონებს, სთხზავს. ჯერ ძველ დროშიაც არ იყო მაგრე რიგად გავრცელებული ქალაქში ხალხური სიმღერა, რადგანაც ზოგიერთს ქართლ-კახეთის მეფეთ სპარსეთიდგან მოჰყვანდათ მომღერლები და ეხლა ხომ რაღა! XVI საუკუნის მეორე ნახევრიდგან მოყოლებული, როდესაც ქართლ-კახეთის ბედი სპარსთ ჩაიგდეს ხელში, უმეტესი ნაწილი ჩვენის მეფეებისა ყმაწვილობიდგანვე იზრდებოდნენ სპარსეთის ყეენის სასახლეში სპარსულს სარწმუნოებაში და ჩვეულებაში. ამისათვის, როდესაც იგინი მოდიოდნენ საქართველოში მეფეებად, – თავის კარზედ – სასახლეში იგეთსავე წყობილებას აწესებდნენ, რომელნიც სპარსეთის ყეენის კარზედ იყო და რომელშიაც თვითონ იყვნენ აღზრდილნი. ერთის სიტყვით, XVI–XVII საუკ. მეორე ნახევრამდინ ქართლ-კახეთის უმეტესი ნაწილი მაჰმადიან მეფეებისა თავის სამეფო კარზედ სპარსულ ზნეს, ჩვეულებას და განათლებას აძლევდნენ უპირატესობასა. ნიჭიერი სპარსეთის პოეტი ჰაფისი დიდს პატივის ცემაში იყო მეფის კარზე. იმის ლექსებს და იმის მწერლობის კილოზედ შეთხზულს ქართულს სიმღერებს აღტაცებით აძღვრებდნენ თარზე, ჭიანურზე, დუდუკზე და სხვ. „გაფი“ „ბაიათი“ „მუხამბაზი“ და სხვა ამგვარები სულ მაშინდელი შემოღებულებია. საკვირველია, რომ ქალაქში, სპარსულ კილოებს თარ-ჭიანურზედ ისეთი გავლენა ჰქონიათ, ისე ძლიერ გაუდგამთ ფესვები, რომ სხვადასხვა სა-

კრავებზედ ქართული კილოები სრულიად განუდევნიათ და ამოუფხვრიათ!.. ჩვენდა საბედნიეროთ, „ხალხმა“, იმ ხალხმა, რომელიც ყოველთვის იყო და არის თავის ნაციონალურის თვისების დამცველი, ამ სოფლის ხალხმა დაიცვა და შეინახა თავისი წმინდა ქართველური კილოები სიმღერისა! დიახ, გლეხი ხალხი – „ერი“ იყო ყოველთვის თავისი საყვარლის მამულის ინტერესების დამცველი; იგი ყოველთვის ჰგრძნობდა მომავალს თავის სამშობლოს უბედურებასა და აფრთხილებდა მაღალს წოდებასა, მაგრამ უკანასკნელთ ამაყობა და პირადი სარგებლობა სულ სხვანაირათ არიგებდა საქმესა... – რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ, რომ ვისაც შესწავლა და ნოტზედ გადაღება ჰსურს ხალხური სიმღერისა, – იგი უნდა წავიდეს სოფელში, დაახლოვდეს ხალხთან, დაჰყოს მასთან კარგად ხანი და კარგად შეისწავლოს და შეითვისოს „ხალხური კილო“.

**რომან მამსაშვილი-ცამციევი**

გაზეთი „იმედი“, 1881, სექტემბერი, №9, გვ. 86–96  
 წერილი აღებულია წიგნიდან: *ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების პერიოდიკაში*  
 (შემდგენელი და რედაქტორი: დ. შულღიაშვილი).  
 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი, 2015

**ერთი ტრადიციული საკრავის შესახებ**

**სვანური ჩანგი**

სვანური ჩანგი ქორდოფონების ჯგუფის კუთხოვანი არფის ტიპის საკრავია. იგი ერთ-ერთი უძველესია ქართულ ინსტრუმენტარიაში.

არფის ტიპის საკრავები გავრცელებულია აზიაში, აფრიკაში, ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში. ჩრდილოეთ და ცენტრალურ კავკასიაში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში არსებობდა კუთხოვანი არფები: აფხაზური *აიუმბა*, ყაზარდოული *ფშინა დეყუაყუა*, ყარაჩაული *ფშედე-გეყუაყუა*, ბალყარული *ყილ-ყობუზ/ყანირ ყობუზ*, ოსური *დუადასტანონ*, თუმცა, სვანური ჩან-

გისაგან განსხვავებით, ზემოთ ჩამოთვლილი საკრავები ყოფაში აღარ გვხვდება.

საქართველოში არფის/ლირის ტიპის საკრავთა უძველეს ადგილობრივ ტრადიციას ადასტურებს სტეფანწმინდის არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილი, ძვ. წ. VII-VI ს-ით დათარიღებული ცნობილი ბრინჯაოს ქანდაკება ე.წ. „ყაზბეგის განძიდან“.



**მესაკრავის ბრინჯაოს ქანდაკება**

ამ საკრავს ზოგი მეცნიერი ჩანგად მიიჩნევს, ხოლო ზოგი – ლირად. მ. შილაკაძე მიიჩნევს, რომ ამ ქანდაკებაზე გამოსახული უნდა იყოს ჩანგის მონათესავე საკრავი, რომლის წინასახეს შუმერული არფები და ლირები წარმოადგენენ.

უცხოელი და ქართველი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მესოპოტამიური ცივილიზაციის, კერძოდ, ძვ.წ. 2700 წლით დათარიღებული, ურში აღმოჩენილი არფები სვანური ჩანგის ანალოგიურია.



**შუმერული არფა**

„ყაზბეგის განძის“ ქანდაკებასთან ერთად, საინტერესოა, ახლო წარსულში, 2007 წელს ვანის გათხრების შედეგად აღმოჩენილი ჭრაქი, რომელიც ძვ.წ. III ს.-ით არის დათარიღებული. მასზე დამაგრებულია მამაკაცის ოთხი ფიგურა. მათგან

ერთ-ერთს ხელში უჭირავს ღირა. ეს უკანასკნელი ზუსტად იმავე ფორმისაა, როგორც „ყაზბეგის განძის“ ქანდაკებაზე გამოსახული საკრავი.



**ბრინჯაოს ჭრავი**

რ. წურუჭუმია აღნიშნავს, რომ არქეოლოგიური გათხრებით მოძიებული და ჩვენამდე წერილობითი თუ ზეპირი გადმოცემით მოღწეული წყაროები მოწმობენ ამ პერიოდის ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ, წინააზიური ცივილიზაციებისათვის ტიპურ მოვლენებს. მ. შილაკაძის დაკვირვებით, ქართველთა წინაპრების და წინა აზიის უძველესი მოსახლეობის მჭიდრო და ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურული კავშირის არსებობას და მათ გენეტიკურ ნათესაობას სხვა მონაცემების გვერდით მხარს უჭერს არა მხოლოდ საკრავთა კონსტრუქციული მსგავსება, არამედ მუსიკალურ საკრავთა სახელწოდებებიც. ტერმინი *ჩანგი* შუმერული-ბაბილონური ძირის სიტყვაა, რომელიც გავრცელდა სხვა ხალხებში. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინი *ჩანგი* მოგვიანებით, მხოლოდ მე-10-11 ს.-ში ჩნდება. იგი საქართველოში ამ ტერმინის შემოტანას სპარსეთიდან ვარაუდობს.

კუთხოვანი არფის ქართულ სახელწოდებად *ჩანგთან* ერთად გვხვდება *შიმეკვშე*. ეს საკრავის ადგილობრივი, სვანური სახელწოდებაა, ნიშნავს „მოტეხილ მკლავს“ და დაკავშირებულია საკრავის წარმოშობის შესახებ კავკასიაში გავრცელებულ ლეგენდასთან. საქართველოში *ჩანგის* წარმოშობის შესახებ ლეგენდა ორ რეგიონშია ჩაწერილი, სვანეთსა და კახეთში. ლეგენდის მიხედვით, ჩანგი შექმნა შვილმკვდარმა მოხუცმა. მისი კუთხოვანი კორპუსი ვაჟის მოხრილ ხელს განასახიერებს, სიმები – მის თმებს, ხოლო ჩანგის მწუხარე ხმა – მოხუცის გოდებას.

ჰორნბოსტელისა და ზაქსის კლასიფიკაციის მიხედვით, არფის ორი სახეობა არსებობს: კუთხოვანი (arched harp) და რკალისებური (angular harp, bow harp). როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სვანური ჩანგი კუთხოვანია.

ამავე კლასიფიკაციის მიხედვით, კუთხოვანი არფა შეიძლება იყოს ღია (open harp) და დახურული/ჩარჩოიანი (frame harp). მსოფლიოში, უმეტესად, ღია არფებია გავრცელებული, მათ შორის – კავკასიაში; გამონაკლისია ევროპული არფები. საქართველოში მხოლოდ ხალხურ საკრავთა ორსკესტრებისთვის რეკონსტრუირებული ფორმებია დახურული (XX ს-ის შუახანებიდან).

ზოგადად, ყველანაირი ტიპის სამკუთხოვანი არფა შედგება სამი ძირითადი სტრუქტურული კომპონენტისაგან: რეზონატორის, ტარისა (ყელის) და სიმებისაგან. აგრეთვე, საკრავს აქვს დამხმარე ნაწილები – მოქლონები და სიმების დამჭერი სამსჭვალეები, რომლებიც დამაგრებულია რეზონატორზე. ზოგიერთი ჩანგის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ნაწილები, ყველაზე მოკლე სიმის პარალელურად, შეერთებულია პატარა ჯოხით.



**ე.წ. „დახურული“ ჩანგი**

ჩანგის სხვადასხვა ნაწილთან დაკავშირებული ტერმინოლოგია გვაქვს როგორც ქართულ, ისე სვანურ ენებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში საკრავის ნაწილების აღმნიშვნელი სვანური ტერმინები მ. შილაკაძემ შემოიტანა.

როგორც წესი, სვანურ ტრადიციაში ჩანგი ჭუნირთან ერთად ანსამბლში ერთიანდება. რეპერტუარი მხოლოდ ჩანგისათვის არ არსებობს. საკრავი ჭუნირთან ერთად, ძირითადად, სათანხლებო ფუნქციისაა. როგორც წესი, დაკვრა იწყება ხემიანი საკრავის პარტიით, რამდენიმე აკორდის

შემდეგ მას უერთდება ჩანგი. შესავალი პარტიის (ან რამდენიმე აკორდის) შემდეგ იწყება სიმღერა. ჩანგისა და ჭუნირის თანხლებით სრულდება როგორც სამხმიანი, ისე ცალფა სიმღერები. მასზე უკრავენ მამაკაცებიც და ქალებიც, თუმცა უმეტესად – მამაკაცები.



სვანური ჩანგები

ჭუნირის მსგავსად, ჩანგიც სევდიანი ხმოვანების „ჭირის საკრავად“ იყო მიჩნეული. ამიტომ, ლოგიკურია ჩანგისა და ჭუნირის გამოყენება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ წესჩვეულებაში, კერძოდ – „ლიფანალში“. ამ რიტუალის დროს საკრავების გამოყენების პრაქტიკა დღემდე ცოცხალია.

ქორდოფონების ჯგუფის სხვა ქართული საკრავების მსგავსად (მაგ. ჩონგური, ფანდური), ჩანგისა და ჭუნირის გამოყენება ხდებოდა ინფექციური დაავადებების მქონე („ყვავილიანი“-„ბატონებიანი“) ავადმყოფისადმი მიძღვნილ რიტუალებშიც. სვანების რწმენით, საკრავთა ხმები ავადმყოფებს ეხმარებოდათ გამოჯანმრთელებაში. მთხრობელებმა ისიც დაადასტურეს, რომ ზემოაღნიშნული საკრავების მსგავსად, ჭუნირსა და ჩანგსაც კიდებდნენ ავადმყოფთან ახლოს კედელზე, რათა ღამ-ღამობით „ბატონების“ სულებს დაეკრათ მათზე. ჩანგის დიდოსტატის, გივი ფირცხელანის ცნობით, საკრავზე ბავშვის დაძინების დროსაც უკრავდნენ, თუმცა მსგავსი პრაქტიკა სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ იყო ცნობილი.

ჭუნირ-ჩანგის თანხლებით ამჟამად ძირითადად სრულდება ბალადური ტიპის ეპიკურ-თხრობითი ტექსტის მქონე სიმღერები მრავალჯერ

ნმეორებადი კუპლეტური ფორმით („მინგულა“, „ვიცბილ-მაცბილ“, „სოზარ-ციოყ“ და სხვ.).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებულია ექვსიდან ცამეტამდე სიმის მქონე ჩანგი, თუმცა ჩანგზე დასაკრავი რეპერტუარის ანალიზმა ცხადყო, რომ ტრადიციულად, მას შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ ექვსიდან ცხრამდე სიმი, ამასთან, ერთი მუსიკალური ნიმუშის ფარგლებში შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ რვა სიმი.

ჩანგზე უკრავენ მჯდომარე მდგომარეობაში. შემსრულებელს საკრავი უდევთ მუხლებზე. მარცხენა ფეხის მუხლზე მოთავსებულია მისი ვერტიკალური ნაწილი, რომელიც შემსრულებელს მარცხენა ხელით უჭირავს, მარჯვენა ხელით კი ეყრდნობა საკრავის ჰორიზონტალურ ნაწილს.

ჩანგზე დასაკრავების მუსიკალური კანონზომიერებები სრულად ასახავს სვანური სიმღერის ინტონაციურ თუ კილო-ჰარმონიულ თავისებურებებს.



მესტიის ანსამბლი „რიპო“

უძველესი დროიდან, არფისებრ საკრავებზე ბგერათწარმოება ხდებოდა როგორც თითებით, ისე პლექტრით. ქართულ საკრავებზე პლექტრი არ გამოიყენება.

ამრიგად, სვანური ჩანგი არის კავკასიაში დღემდე შემორჩენილი უძველესი არფისებური საკრავების ერთადერთი სახეობა. ეს უძველესი საკრავი, დღესაც, სვანური თემის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და ზოგადქართული იდენტობის გამომხატველია. თუმცა, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში მან დაკარგა თავდაპირველი საკრალური მნიშვნელობა, „ჭირის საკრავის“ ფუნ-

ქცია და დღეს გამოიყენება ლხინის დროსაც, საშინაო მუზიციერებასა და საკონცერტო ცხოვრებაშიც.

მასალა დამუშავებულია *მაკა ხარძიანის* მიერ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტ ნინო რაზმაძის სტატიის ბაზაზე სტატიის ვრცელი ვერსია იხ.: [http://www.gesj.internet-academy.org.ge/ge/list\\_artic\\_ge.php?b\\_sec=muz&issue=2016-09](http://www.gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=muz&issue=2016-09)

## ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ

### დალაობა

ქართული ტრადიციული სამგლოვიარო მუსიკა ქართული ფოლკლორის ის იშვიათი ნაწილია, რომელიც დღემდე შემორჩა ყოფას და შეინაჩუნა სოციალური ფუნქცია.

ამ ჟანრის მუსიკალური ნიმუშები მრავალფეროვანია და წარმოდგენილია, როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა რეპერტუარში (ქართულ სამგლოვიარო მუსიკას ეძღვნება წერილი ჩვენს #17 ბიულეტენში). ამჯერად მკითხველის ყურადღებას ამ ჟანრის ერთ გამორჩეულ რიტუალსა და მასთან დაკავშირებულ, უნიკალურ მუსიკალურ ნიმუშზე შევაჩერებთ, რომელიც მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის ერთ-ერთი კუთხის, თუშეთის ყოფას შემორჩა. ეს გახლავთ მამაკაცთა გლოვის რიტუალი *დალაობა* და მასთან დაკავშირებული მუსიკალური ნიმუში *დალა*, რომელიც მიცვალებულის წლისთავზე სრულდება.

გლოვა და მწუხარება თუშეთის ყოფას მუდმივად თან ახლდა, რადგან მათი ცხოვრება სავსე იყო განსაცდელით (სტიქიური უბედურება, მოსაზღვრე ხალხების მიერ მეცხვარეების დაყაჩაღება, მტრის თავდასხმა, თუშეთის ბრძოლა სამშობლოს დასაცავად და სხვ.). შესაბამისად, თუშურ მუსიკალურ ფოლკლორში გლოვის თემატიკას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მეორმოცე დღემდე თუშეთში მიცვალებულს ყოველ შაბათს დაიტირებდნენ მის ოჯახში შეკრებილი ახლობლები. გლოვის განსაკუთრე-

ბული რიტუალი *დალაობა* კი წლისთავზე იმართებოდა. ეზოში გამოიტანდნენ გარდაცვლილის ტანისამოსს, რომლის გარშემოც მოტირალი ქალები დასხდებოდნენ და მოთქმით დაიტირებდნენ. მოთქმის ფონზე გამოვიდოდა ხუთი მხედარი. მოდალავე (ტექსტის მთქმელი) სევდიანი კილოთი აქებდა მიცვალებულს, სხვები კი (ბანის ამყოლები) მონოტონურად უბანებდნენ: „დალა, დალაე“.

*დალას* უხდიდნენ ვაჟკაცურად დაღუპულ მამაკაცებს (უმეტესად, ახალგაზრდებს), არც ისე ხშირად – მოხუცებს და იშვიათად – ქალებს. *დალას* ტექსტი იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ ვის „ადალავებდნენ“.

*დალა* მამაკაცთა უნისონური გლოვის უნიკალური ნიმუშია ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში. დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის თითქმის ყველა რეგიონში გავრცელებულ და მხოლოდ სამგლოვიარო შორისდებულებზე (ვაი, ვოი და ა.შ) აგებულ, დააკრძალვის დღეს შესასრულებელ, მამაკაცთა სამხმიანი ზარისაგან განსხვავებით, *დალას* სიტყვიერი ტექსტი აქვს, წლისთავზე სრულდება, ერთხმიანი და უნისონურია. სიტყვიერი ტექსტი რაჭულ ზრუნსაც აქვს, მაგრამ ქალების მიერ სრულდება და *დალასგან* განსხვავებით, ისიც მრავალხმიანია.



დალაობა თუშეთში (2014წ)

*დალაობაში* მონაწილეობდა ხუთი ცხენოსანი: „მოდალავე“ – სიტყვების მთქმელი (სოლისტი) და „ამყოლები“ (უნისონური გუნდი). ცხენებზე მსხდომი *დალას* შემსრულებელნი მიცვალებულის „ნიშანთან“ ჩამწკრივდებოდნენ. მოდალავე მიცვალებულის ცხენზე იჯდა. მის მიერ გამოთქმულ ყოველ ფრაზას ამყოლთა მისამღერი

დალა მოსდევდა. დალას შესრულების შემდეგ მხედრები სამჯერ შემოუვლიდნენ მიცვალებულის ტანსაცმელს. ამის შემდეგ მოდალავეებს დედის ძმასთან გაგზავნიდნენ (შესაძლოა, სხვა სოფელში), იქაც იმავე რიტუალს გაიმეორებდნენ და კვლავ მიცვალებულის სახლში ბრუნდებოდნენ, ამის შემდეგ კი მხედრების დოღი იმართებოდა.

საინტერესოა, რას ნიშნავს „დალა“? სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ სახელწოდება „დალა“, შესაძლებელია, ნადირობის ქალღმერთ დალის სახელს უკავშირდებოდეს. ზოგს ცისკრის ვარსკვლავის სახელად მიაჩნია „დალაი“. გიორგი ჩიტაია ფიქრობდა, რომ დალი – ქართულ-კავკასიური სახელი უნდა ყოფილიყო და შუმერულ და ძველადმოსავლურ „დილბას“ ან „დილბატს“ უნდა უკავშირდებოდეს. ივანე ჯავახიშვილის აზრით, დილა მხოლოდ დროის აღმნიშვნელი კი არა, რომელიმე ღვთაების სახელიც უნდა ყოფილიყო, რომელსაც „დალაი“ უკავშირდება. ეთნოლოგ დ. გიორგაძის გამოკვლევით, სხვა კავკასიურ ხალხშიც ყოფილა გავრცელებული მსგავსი სახელწოდების კულტი: მაგალითად, ვაინახები უმაღლეს ღვთაებას „დელას“, „დეილას“ უწოდებდნენ, წოვათუშები და ინგუშები „დალ“, „დელე“ და მსგავსი დიალექტური ფორმებით აღნიშნავენ ხატს, ჯვარს – ღვთაებას, წმინდანს, საკულტო ობიექტს. ჩეჩნებში „დელე“ ღმერთს აღნიშნავს, ხოლო სიტყვა „დალაი“ მწუხარების ჟამს იხსენიებოდა.

თუშური დალას ყველაზე ძველი აუდიო ჩანაწერი 1929 წელსაა გაკეთებული და კომპოზიტორ შალვა მშველიძეს ეკუთვნის. კ. როსებაშვილის საექსპედიციო მასალებიდან ირკვევა, რომ გლოვასთან დაკავშირებული წესები თუშეთში მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო.

თუმცა, დალაობა, არც თუ ისე ხშირად, მაგრამ დღემდე იმართება. მაგალითად, 2014 წელს ქვემო ალვანში ეს რიტუალი ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული გიორგი ანწუხელიძის პატივსაცემად. დალაობა ქვემო ალვანში ტრადიციულად სრულდება თუში გმირის, ზეზვა გაფრინდაულის სახელზე გაზაფხულობით გამართული სახალხო დღესასწაულის, „ზეზვაობის“ დროსაც.

ამგვარად, თუშები დღემდე გულმოდგინედ ცდილობენ, ეს ძირძველი რიტუალი ისე აღადგინონ, როგორც ძველებისგან უნახავთ და გაუგონიათ. ეს დღესასწაული თუშეთის ყველა გვარისა და სოფლისთვის საერთოა და დიდი მოწიწების საგანია.

მასალა დამუშავებულია *მკა ხარძიანის* მიერ  
ივ. ჯავახიშვილის, ნ. მაისურაძის, კ. როსებაშვილის, დ. გიორგაძის, ქ. ბაიაშვილის  
ნაშრომების საფუძველზე

*გთავაზობთ 1947 წელს შალვა ასლანიშვილის მიერ თუშეთში ჩაწერილ და მის მიერვე ნოტირებულ „დალას“ ერთ-ერთ ნიმუშს.*

დალა

მთქმელი

და - ლად თქვით, და - ლად, მხე - დრე - ბო.

გუნდი

და - - - ლა, და - ლა.

მთქმელი

ძნე - ლი - ა და - ლა - ო - ბა - ო.

გუნდი

და - ა - ლა, და - ლა.

მთქმელი

დე - დან გტი - რი - ონ შვი - ლე - ბით.

გუნდი

და - ა - ლა, და - ლა - ო.

მთქმელი

და - ნი გტი - რი - ონ ძმო - ბი - თა.

გუნდი

და - ლა, და - ლა.

მთქმელი

შე - ნი - სო - ფლი - სა ზალ - ქა - ლი.

გუნდი

და - ლა, და - ლა.

მთქმელი



შა - ვით რო ი - მო - სე - ბო - დეს.

გუნდი




და - ლა, და - ლა.

მთქმელი




ეგ შე - ნი დე - და ბედ - შა - ვი.

გუნდი



და - ლა, და - ლა.

მთქმელი



სან-თლე-ბურ ჩა - მო - დნე - ბო - - - -

გუნდი



და - - - ლა, და - ლა.



რედაქტორი:

მაკა ხარბიანი

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარბიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის  
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2018

eISSN-1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,  
გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953-ფაქსი: (+995 32) 2987187

E-mail: [polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge)

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

[www.symposium.polyphony.ge](http://www.symposium.polyphony.ge)

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2018 წლის დეკემბერში